პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 27 ნოემბერი, 1948 წ. № 235 (8279). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში.

ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად!—მოწინავე (1-ლი გვერდი).
შევხვდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას ახალი საწარმოო მიღწევებით (1-ლი გვერდი).
ნ. ფომინოვი — ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის წინ (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა (მე-2 გვერდი).
ხილის დამზადებასა და გადმოზიდვას აჭიანურებენ (მე-3 გვერდი).
მ. იოსელიანი — წარმატებით ჩავატაროთ სახალხო სასამართლოების არჩევნები (მე-3 გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად!

დიდია საბჭოთა ხალხის ნდობა, ერთგულება და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. უძლეველია ჩვენი პარტია მასებთან კავშირით, ხალხის ნდობითა და მხარდაჭერით. დიდი სტალინი გვასწავლის: „შეიძლება წესად ვაღიაროთ, რომ სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველნი იქნებიან".

ხალხის ეს უსაზღვრო ნდობა და სიყვარული ჩვენმა პარტიამ მოიპოვა და განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ფუძემდებლების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეუპოვარი რევოლუციური მოღვაწეობით, სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის, ბედნიერი, საამური და შეძლებული ცხოვრების დამკვიდრებისათვის განუხრელი ზრუნვით. ამიტომაა, რომ ხალხს პარტიის საქმე ყოველთვის თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია. ამიტომაა, რომ პარტიის პირველი დაძახებისთანავე მთელი საბჭოთა ხალხი მონოლითურად დარაზმული გამოდის და მტკიცედ ასრულებს მის მითითებებს.

გუშინ გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ცნობა ყრილობის მოწვევის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა და ფართო გამოხმაურება ჰპოვა მშრომელთა მასებში. ამის მაჩვენებელია ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი წერილი—„შევხვდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას ახალი საწარმოო მიღწევებით", რომელსაც ხელს აწერს რესპუბლიკის დედაქალაქის ათი მოწინავე საწარმოს კოლექტივი.

ეს დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს მასების იმ დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ აღმავლობას, რომელმაც მოიცვა ჩვენი რესპუბლიკა საქართველოს ბოლშევიკების მორიგი ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით. თბილისის ათი მოწინავე საწარმოს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების ეს პატრიოტული ინიციატივა ასახავს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის, ახალი მშენებლობების, მთელი მშრომელი მოსახლეობის სულისკვეთებას — კიდევ მეტი თავდადებით, მეტი ენერგიით იმუშაონ დიადი საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

მოახლოვდა ხუთწლედის მეოთხე წლის დასაწყისი. ყოველ დღეს მოაქვს ახალი შრომითი გამარჯვებების ამბავი. ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მასები ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებაში, მაღალნაყოფიერ სტახანოვურ შრომაში, სოციალისტური დაგროვების გადიდებაში. ეჭვი არაა, თბილისის მოწინავე საწარმოთა დღევანდელი მოწოდების ხმა სწრაფად მოეფინება მთელ რესპუბლიკას და ყველგან მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს.

მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება და ახალი წლისათვის სანიმუშოდ მომზადება, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება,—აი ჩვენი მორიგი ამოცანა.

თბილისელთა პატრიოტული წამოწყების საპასუხოდ მასების საწარმოო-პოლიტიკური აღმავლობის ახალ აზვირთებას ამთავითვე უნდა ჩაუდგნენ სათავეში ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები. მათი მოვალეობაა კონკრეტული ამოცანები დაუსახონ შეჯიბრების მონაწილეებს, დაეხმარონ ამ ამოცანათა შესრულებაში, შეუქმნან საწარმოთა კოლექტივებს ყველა პირობა საქართველოს ბოლშევიკების მორიგი ყრილობისათვის ახალი მიღწევების მოსაპოვებლად.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი უნარიანი ხელმძღვანელობა ნიშნავს— დავეხმაროთ საწარმოთა კოლექტივებს ზეგეგმითი დაგროვების ახალი წყაროების გამოვლინებაში, შევუქმნათ მათ ყველა პირობა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მამაცური სოციალისტური შრომით უზრუნველვყოთ ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვება 25 იანვრისათვის —საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობისათვის!

## შევხვდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას ახალი საწარმოო მიღწევებით

### თბილისის მოწინავე საწარმოთა ვალდებულებანი

1949 წლის 25 იანვრისათვის მოწვეულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

საქართველოს ბოლშევიკები თავიანთ XIV ყრილობაზე მიდიან მონოლითურად დარაზმულნი, მტკიცედ შემჭიდროებულნი საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ასრულებდნენ რა დიდი სტალინის ბრძნულ მითითებას, ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის შემდგომი წლები აღინიშნულ იქნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდით, განსაკუთრებით ქალაქ თბილისის მრეწველობის ხვედრითი წონის მკვეთრი გადიდებით.

თბილისისა და მთელი საქართველოს საწარმოებმა მდიდარი გამოცდილება დააგროვეს წარმოებაში სოციალისტური შრომის ახალი მეთოდების დანერგვის დარგში და ახლა წარმატებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

თბილისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა და ვადამდე ანაღდებს მესამე გადამწყვეტი წლის გეგმასაც. ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება ზეგეგმითი დაგროვებისათვის. თბილისის მრეწველობის მრავალმა ათეულმა საწარმომ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა პროდუქციას უშვებს 1949 წლის გეგმის ანგარიშში.

ცნობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის მოწვევის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებში ახალი საწარმოო-პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებისა და რესპუბლიკის მრავალრიცხოვან მშენებლობათა კოლექტივები აღფრთოვანებული არიან მისწრაფებით — შეხვდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას ახალ-ახალი საწარმოო წარმატებებით.

ყრილობის მოწვევამდე ორ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ამ პასუხსაგებ პერიოდში საწარმოებმა და მშენებლობებმა უნდა დაამთავრონ ხუთწლედის მესამე წლის გეგმა და წარმატებით შეუდგნენ მეოთხე წლის გეგმის შესრულებას. ჩვენ, თბილისის მრეწველობის სხვადასხვა დარგთა მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა განვიხილეთ და ვიკისრეთ ვალდებულებანი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ეს ვალდებულებანი ითვალისწინებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის გზით ზეგეგმითი დაგროვების შემდგომ ზრდას, შრომის ნაყოფიერების ახალ გადიდებას, დეკემბრისა და იანვრის გეგმების მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულებას.

ჩვენ ვკისრულობთ:

#### მაუდ-კამვოლის ფაბრიკა:

1. დეკემბერსა და იანვარში გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 20.000 მეტრი შალის მზა ქსოვილი;
2. პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების შედეგად მივიღოთ 350.000 მანეთი ეკონომია;
3. გავწიოთ დეკემბერსა და იანვარში 7 ტონა მატყლის ეკონომია.

#### სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი:

1. დეკემბერსა და იანვარში გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 15 ტონა ნართი;
2. პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების საშუალებით მივიღოთ დეკემბერსა და იანვარში 300.000 მანეთი ეკონომია და ამავე პერიოდში დავზოგოთ 6 ტონა ბამბა და 30.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია;
3. ავითვისოთ და გამოვუშვათ ახალი სახის პროდუქცია—20.000 წყვილი „კაპრონის" ჩულქი.

#### ქარხანა „დაზგა":

1. შევასრულოთ დაზგების გამოშვების გეგმა დეკემბერში 120 პროცენტით და იანვრის გეგმა — ყრილობის მოწვევის დღის, 25 იანვრისათვის;
2. 3 პროცენტით შევამციროთ სადაზგო პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით.

#### სამსხმელო-მექანიკური ქარხანა:

1. დაზგების, სხმულისა და საჭედი ლითონის გამოშვების დეკემბრის გეგმა შევასრულოთ 125 პროცენტით, ხოლო იანვრის გეგმა—ვადამდე, ყრილობის გახსნის დღისათვის;
2. ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 3 პროცენტით.

#### საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა:

1. შევასრულოთ დეკემბრის გეგმა 112 პროცენტით და იანვრისა—113 პროცენტით;
2. მივიღოთ დეკემბერში 100.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ხოლო იანვარში დაგროვების გეგმა შევასრულოთ 110 პროცენტით.

#### საინსტრუმენტო ქარხანა:

1. შევასრულოთ დეკემბრის გეგმა 125 პროცენტით და იანვრისა—ყრილობის გახსნის დღისათვის;
2. დეკემბერსა და იანვარში მივიღოთ 100.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ხოლო 60.000 მანეთი ეკონომია მივიღოთ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით.

#### ფეხსაცმლის ფაბრიკა № 3

1. მიმდინარე წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 5.000 წყვილი ფეხსაცმელი და იანვრის გეგმა შევასრულოთ ყრილობის გახსნის დღისათვის;
2. გავწიოთ რბილი ტყავეულის ეკონომია 2 პროცენტით, მაგარი ტყავეულისა—1,5 პროცენტით.

#### რადიოსატელეგრაფო ქარხანა:

1. დეკემბრის გეგმა შევასრულოთ 120 პროცენტით, იანვრისა—ყრილობის გახსნის დღისათვის;
2. შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 2 პროცენტით გეგმასთან შედარებით.

#### საორთქლმავლო დეპო:

1. აწევითი და საშუალო რემონტით უზრუნველვყოთ გეგმის გადამეტებით 3 ორთქლმავლის გამოშვება;
2. ორი თვის განმავლობაში მივიღოთ 150.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და 5 პროცენტით დავზოგოთ საწვავი;
3. გავადიდოთ საერთო სადეპოო გარბენა 10 პროცენტით, ტექნიკური სისწრაფე—დაწესებულ ნორმასთან შედარებით 2 კილომეტრით საათში.

#### მე-4 სამგზავრო-სავაგონო უბანი:

1. სამგზავრო ვაგონთა რემონტის დეკემბრის გეგმა შევასრულოთ 110 პროცენტით, ხოლო იანვრის გეგმა—ყრილობის გახსნის დღისათვის;
2. აღდგენითი რემონტით გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 3 ვაგონი;
3. მივიღოთ დეკემბერსა და იანვარში 100.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

განხილული და მიღებულია მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ქარხანა „დაზგის", სამსხმელო-მექანიკური ქარხნის, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის, საინსტრუმენტო ქარხნის, ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკის, რადიოსატელეფონო ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს და მე-4 სამგზავრო-სავაგონო უბნის კოლექტივთა საერთო კრებებზე, 1948 წლის 26 ნოემბერს.

## საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXV კონფერენცია

26 ნოემბერს ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXV კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. გოგუა, გ. ზამბახიძე, ი. ზოდელავა, ზ. კეცხოველი, კ. ციმაკურიძე, ნ. რუხაძე, მ. ბალავაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ე. ჩერქეზია, ბ. ნანიტაშვილი, ა. ჯიშიაშვილი, გ. გოჩაშვილი, ა. კისელიოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივნები, კომკავშირის რაიკომების მდივნები და სხვები.

კონფერენციამ აირჩია სამანდატო კომისია და სამდივნო.

მქუხარე ტაშით კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. მიხაილოვი.

კონფერენციის დღის წესრიგშია:
1. საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. არჩევნები: საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტისა, სარევიზიო კომისიისა და საქართველოს ალკკ XVII ყრილობის დელეგატებისა.

საანგარიშო მოხსენებით კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. მეგრელიშვილი. მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ე. კომახიძემ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. დანელია, დიმიტროვის სახელობის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. დ. კობახიძე, პოეტი ი. ნონეშვილი.

უდიდესი პოლიტიკური აღფრთოვანებით კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მისალმება დიდი სტალინისადმი.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

## დროშები გამარჯვებულებს

**ქუთაისი,** (ტელეგრაფით). სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა მესამე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მიიღო საქართველოს ელექტროსადგურთა მუშაკების პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ჯილდოს საპასუხოდ რიონჰესელებმა ნოემბერში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა და ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 23 ნოემბერს შეასრულეს.

* * *

მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კოლექტივმა მესამე კვარტალში წარმატებით მუშაობის შედეგად დაიკავა პირველი საკავშირო ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ამ გამარჯვების გამო საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კოლექტივმა სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროსაგან მიიღო მისალოცი დეპეშა.

* * *

**სოხუმი,** (საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება 1 ნოემბრისათვის შეასრულა, გაიმარჯვა პოლიგრაფიულ საწარმოთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და მოიპოვა საქართველოს სსრ პოლიგრაფიული წარმოებისა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი დროშა.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო

მეცნიერებათა აკადემიაში

## თათბირი ველიან რაიონებში ტყის გაშენების საკითხებზე

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში 23 ნოემბერს დაიხურა ველიან რაიონებში ტყის გაშენებისადმი მიძღვნილი მეცნიერ მუშაკთა თათბირი. თათბირი მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ი. ვ. იაკუშკინმა, ტ. დ. ლისენკოს სახელობის საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. როდიონოვმა, მარცვლეულის მეურნეობის ციმბირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ვისოკოემ, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ყუბანის საცდელი სადგურის დირექტორმა ამხ. ზახარჩენკომ, პროფესორმა ამხ. ნესტეროვმა და სხვ. მათ აღნიშნეს ის სამუშაოები, რომლებსაც სამეცნიერო-საკვლევი და საცდელი დაწესებულებანი ახორციელებენ იმ ამოცანების მიხედვით, რაც დასახულია პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის ველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის შესახებ.

გუშინ საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ.

ბუნებაში, თქვა მან, იმთავითვე შემჩნეულია ტყის ბრძოლა ველთან. ველი მეტწილად ამარცხებდა ტყეს. ამის ხელს უწყობდა ადამიანის ჩარევა, რომელიც ძირითადად მხოლოდ ჩეხდა ტყეებს და არ აშენებდა. ტყის გაშენების სტალინური გეგმა გარდაქმნის მრავალ ათეულ მილიონობით ჰექტარ ველების ბუნებას. მიჩურინული მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა გამოიყენონ ჩვენი მეტყევეების გამოცდილება, გამონახონ ველებში ტყის გაშენებისათვის საუკეთესო პირობები, რომ იგი სწრაფად გაშენდეს და ხანგრძლივად იარსებოს.

მეცნიერმა დაწვრილებით მოუთხრო თათბირს ველებში ტყის ბუდნა-ბუდნა თესვის შესახებ. ამ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ველებზე ტყის წარმატებით გაშენებაში. (საკდესი).

## სამპროცენტიანი სესხის ტირაჟი

30 ნოემბერს მოსკოვში შედგება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი.

გათამაშდება 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება, მათ შორის — ორი მოგება 50 ათას მანეთიანი, ხუთი — 25 ათას მანეთიანი, ოცდახუთი — 10 ათას მანეთიანი, ოთხმოცი — 5 ათას მანეთიანი, შვიდასი — 1.000 მანეთიანი და 7.688 მოგება 400 მანეთიანი.

ამჟამად შემნახველი სალაროები ყიდიან ამ სესხის ობლიგაციებს № 2 ტალონით, რაც მოგების მიღების უფლებას იძლევა მეორე დამატებით ტირაჟში, რომელიც 1949 წლის 30 სექტემბერს შედგება. № 2 ტალონიანი ობლიგაციების გაყიდვა გაგრძელდება 1949 წლის 1 იანვრამდე. (საკდესი).

## სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის საკავშირო ყრილობა

25 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მეორე საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან 300-ზე მეტი დელეგატი ჩამოვიდა.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ა. ხოლოდკოვმა. მან აღნიშნა, რომ 1932 წლიდან საზოგადოების წევრთა რიცხვი სამიდან თხუთმეტ მილიონამდე გაიზარდა. ომის წლებში ასეულათასობით მომზადდნენ მედიცინის დები, სანრაზმელები და სანიტრები. ამჟამად ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში საზოგადოების მიერ შექმნილია 8.500 სანიტარული საგუშაგო, და სამი ათასზე მეტი პირველადი ორგანიზაცია. ისინი დიდ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან.

ყრილობა რამდენიმე დღეს გასტანს.

ყრილობის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

## მუზეუმის მუშაკთა სამეცნიერო სესია

25 ნოემბერს რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტში გაიხსნა სამხარეთმცოდნეო და სამუზეუმო მუშაობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სესია. სესიაში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ფედერაციის საოლქო და რაიონული მხარეთმცოდნეობის მუზეუმების წარმომადგენლები. ესწრებიან აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, უზბეკეთის და სხვა რესპუბლიკათა მუზეუმის მუშაკები. სესია მიძღვნილია მხარეთმცოდნეობის მუზეუმების საქმიანობის ძირითადი პრინციპების განხილვისადმი.

ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ფ. ნ. პეტროვმა აღნიშნა, რომ მუზეუმების ძირითადი ამოცანაა მხარის სოციალისტური მშენებლობის, მისი ბუნების მიჩურინული გარდაქმნის, ეკონომიკის, კულტურისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ჩვენება.

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა კ. ა. სოლოვიოვმა და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ი. გალკინამ.

სესია რამდენიმე დღეს გასტანს. (საკდესი).

## საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

25 ნოემბერს გათამაშდა ჩემპიონატის მე-9 ტური.

კოტოვმა მოუგო კერესს, ფლორმა — ლევენფიშს, რაგოზინმა — არონინს, ლილიენტალმა — პანოვს, ალატორცევმა — ავერბახს. ილივიცკიმ — ხოლმოვს, ტოლუშმა — კონსტანტინოპოლსკის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

კონსტანტინოპოლსკი-არონინის გადადებულ პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

9 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა კოტოვი, რომელსაც აქვს 6,5 ქულა 9 შესაძლებელში. ფლორსა და ტოლუშს აქვთ ხუთ-ხუთი ქულა 8-ში. (საკდესი).

# ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის წინ

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის მე-20 ტომის გამოსვლის გამო).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-20 ტომში შევიდა 1913 წლის დეკემბრიდან 1914 წლის აგვისტომდე დაწერილი ნაწარმოებები. ეს პირველი მსოფლიო ომის წინახანები იყო.

მე-20 ტომში მოთავსებული ლენინის ნაწარმოებები გვიჩვენებენ, თუ როგორ გადაიქცა ბოლშევიკური პარტია, რომელმაც მენშევიკები განდევნა და დამოუკიდებელ პარტიად, ლენინიზმის პარტიად ჩამოყალიბდა პრაღის კონფერენციაზე (1912 წ.), უკვე პირველი მსოფლიო ომის წინ, რუსულ და საერთაშორისო ოპორტუნიზმთან ბრძოლაში მტკიცე მასობრივ მებრძოლ ორგანიზაციად. ბოლშევიკების პარტია ომს შეხვდა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის მაღლა აღმართული დროშით.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პირობებში 1912-14 წლებში ბოლშევიკებმა, ხელმძღვანელობდნენ რა ლენინისა და სტალინის მოძღვრებით, პრაღის პარტიული კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შეძლეს ეჩვენებინათ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის ნიმუშები.

I.

რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წინ ახალი რევოლუციური აღმავლობა ძლიერდებოდა. 1913 წელს რუსეთში გაფიცული იყო 1,2 მილიონზე მეტი მუშა. 1914 წლის პირველ ნახევარში გაფიცვებში უკვე მილიონნახევრამდე მუშა მონაწილეობდა. რუსეთი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ცუდად დაფარული სამოქალაქო ომის მდგომარეობას განიცდიდა. ბევრი დიდი ქალაქის ქარხნებში იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები თვითმპყრობელობის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. პეტერბურგსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში მუშები ბარიკადებს აგებდნენ.

ბურჟუაზიულ კლასებში პოლიტიკური მდგომარეობა ხასიათდებოდა მერყეობით და ცარიზმის მიმართ უკმაყოფილებით.

მუშათა რევოლუციური გაფიცვები აღვიძებდნენ მილიონობით გლეხებს, რომლებიც უფრო და უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის შედეგად. იზრდებოდა აგრეთვე განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში, ცარიზმის მიერ ნაციონალური ჩაგვრით დაბეჩავებულ ხალხებში.

რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების პარტია, რომელსაც რუსეთის შეგნებული მუშების 4/5 მიჰყვებოდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი მოხსენებაში ბრიუსელის თათბირზე ლენინი აღნიშნავდა, რომ პიტერშიც და მოსკოვშიც პროფესიულ კავშირებში სავსებით სჭარბობდა ბოლშევიკების გავლენა. მოსკოვის 13 პროფესიული კავშირიდან არც ერთი არ ყოფილა ლიკვიდატორული. მეორე ადგილას ლენინი აღნიშნავდა, რომ 2½ წლის განმავლობაში ბოლშევიკურ გაზეთებს თავიანთი შენატანებით დაეხმარა 5.674 მუშათა ჯგუფი, ლიკვიდატორებსა და მათ მეგობრებს კი მხოლოდ 1.421 მუშათა ჯგუფი.

წინააღმდეგ ლიკვიდატორებისა, რომლებიც გაფიცვების მოწინააღმდეგედ გამოდიოდნენ და თავიანთი ლიბერალური სიტყვებით „საგაფიცვო აზარტის" შესახებ მუშების კანონიერ ზიზღს იწვევდნენ, ბოლშევიკების ტაქტიკა მდ[...]ეობდა, — როგორც ლენინი აღნიშნავდა, — ბრძოლის სხვადასხვა ხერხის შეერთებაში, ერთი ხერხიდან მეორეზე უნარიანად გადასვლაში, მასების შეგნებისა და ფართო კოლექტიური მოქმედების განუხრელად ამაღლებაში, რომელთაგან თვითეული ხან შეტევითი იყო ხან თავდაცვითი, ყველა ერთად კი უფრო და უფრო ღრმა და გადამწყვეტ კონფლიქტს იწვევდა.

ბოლშევიკები სათავეში ედგნენ მოძრაობას, ეწეოდნენ ფართო პროპაგანდისტულ და საგიტაციო მუშაობას მასებში, აწყობდნენ რევოლუციურ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, ავრცელებდნენ ამისათვის რევოლუციურ პროკლამაციებსა და პარტიის ყოველდღიურ მასობრივ პოლიტიკურ გაზეთ „პრავდას" და ახალი რევოლუციისაკენ მიჰყავდათ მუშათა კლასი ლოზუნგებით: დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია. „რუსეთის ახლანდელ მდგომარეობაში, — წერდა ლენინი,—სრული უუფლებობისა და თვითნებობის პირობებში, მეფის მონარქიის მიერ ყველა კანონის დათრგუნვის პირობებში, **მხოლოდ** ამ ლოზუნგებს შეუძლიათ ნამდვილად გააერთიანონ და წარმართონ პარტიის მთელი პროპაგანდა და აგიტაცია მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის ნამდვილი მხარდამჭერის სულისკვეთებით" (გვ. 469).

და რაც უფრო ვითარდებოდა მუშათა მოძრაობა, მით უფრო აშკარა ხდებოდა მენშევიკების გამცემლობა. ბოლშევიკების დარტყმებით დაშლა იწყო უპრინციპო ტროცკისტულმა, ლამპალმა აგვისტოს ბლოკმა. თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ლიკვიდატორებმა სრული დამარცხება განიცადეს. სტატიაში „მუშათა კლასი და მუშური პრესა" ლენინი წერდა: „უახლოესი მომავალი გარდუვალად კიდევ უფრო ნათლად გამოამჟღავნებს ლიკვიდატორული მიმდინარეობის ბურჟუაზიულ ხასიათსაც და ინტელიგენტთა უბადრუკი ჯგუფების: ვპერიოდელების, პლეხანოველების, ტროცკისტებისა და სხვ. უდღეურობასაც" (გვ. 344). ლენინი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ამ ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდებოდა და შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო რუსეთში ნამდვილად მუშური, რევოლუციური მარქსისტული პარტია.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ლენინის ეს წინასწარმეტყველება. რუსეთში მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ დაამარცხა „ეკონომისტები", მენშევიკები და ლიკვიდატორები, და „ამის მეოხებით დაადგა, — წერდა ლენინი სტატიაში „იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში", — კაცობრიობის მოწინავე ისტორიული ამოცანებისათვის მოწინავე კლასის ფართო, მარქსისტული თეორიით გაშუქებული... ბრძოლის სწორ გზას" (გვ. 257).

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მუშათა მოძრაობის ვერავითარმა მტრებმა ვერ შეაჩერეს მუშათა კლასის ზრდა და განვითარება, მისი დარაზმვა ლენინისა და სტალინის იდეების დროშით ბოლშევიკური ორგანიზაციების გარშემო.

ბოლშევიკებმა დაიპყრეს მუშათა კლასის ლეგალური ორგანიზაციები (პროფკავშირები, სახალხო სახლები, კლუბები, სადაზღვევო დაწესებულებანი და სხვ.), გადააქციეს ისინი თავიანთი მუშაობის დასაყრდენ პუნქტებად, ფართოდ გამოიყენეს სათათბიროს ტრიბუნა რევოლუციური აგიტაციისათვის, აფართოებდნენ თავიანთ კავშირს მუშათა კლასთან და ამავე დროს განამტკიცებდნენ პარტიის რიგებს. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი შესანიშნავი მასობრივი მუშათა გაზეთი „პრავდა" დაეხმარა პარტიას აღეზარდა ახალი თაობა რევოლუციონერი პრავდისტი მუშებისა, რომლებმაც შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ბირთვი შეადგინეს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში.

II

პირველი მსოფლიო ომის წინ ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ნაციონალურ საკითხს. ნაციონალური საკითხისადმი ასეთი გაზრდილი ყურადღების მიზეზთა შესახებ ლენინი სტატიაში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე" წერდა: „რეაქციის მძვინვარე ნაციონალიზმიც, კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გადასვლაც ნაციონალიზმზე (განსაკუთრებით ველიკორუსულ, ხოლო შემდეგ აგრეთვე პოლონურ, ებრაულ, უკრაინულ ნაციონალიზმზე და სხვ.) და, ბოლოს, სხვადასხვა „ნაციონალურ" (ე. ი. არაველიკორუსულ) სოციალ-დემოკრატიებში ნაციონალისტური მერყეობის გაძლიერებაც, რამაც პარტიული პროგრამის დარღვევამდე მიაღწია,—ყოველივე ეს აუცილებლად გვავალებს წინანდელზე მეტი ყურადღება მივაქციოთ ნაციონალურ საკითხს" (გვ. 3).

ომის წინ გაძლიერდა შავრაზმული, დამრბევი აგიტაცია, ცარიზმის მიერ ხალხების ჩაგვრა უფრო და უფრო მწვავე ფორმებს იღებდა. მეფის ხელისუფლება, მემამულეები და კაპიტალისტები ყველა ზომას მიმართავდნენ იმისათვის, რომ შოვინიზმით მოეშხამათ რუსეთის ხალხთა შეგნება, ერთიმეორესთან წაეკიდებინათ ისინი, გაეთიშათ, დაექსაქსათ მშრომელთა ძალები, ჩამოეშორებინათ ისინი რევოლუციური ბრძოლისათვის.

და რაც უფრო ძლიერ ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა მოძრაობა, მით უფრო დაჟინებული იყო ბურჟუაზიისა და მემამულეთა ცდები ჩაეხშოთ ან დაექსაქსათ იგი, გაეთიშათ მუშები სხვადასხვა ბურჟუაზიულ იდეათა და მოძღვრებათა ქადაგებით, რომლებიც ასუსტებდნენ მუშათა კლასის ბრძოლას. ასეთ იდეათა რიცხვს ლენინი აკუთვნებდა „დახვეწილ ნაციონალიზმს, რომელიც ქადაგებს პროლეტარიატის გათიშვასა და დაქსაქსვას ყოველნაირი ლამაზი და მშვენიერი საბაბით, მაგალითად „ნაციონალური კულტურის", „ნაციონალური ავტონომიის ან დამოუკიდებლობის" ინტერესების დაცვის საბაბით და სხვ. და ა. შ." (გვ. 266). ავსტრო-მარქსიზმისაგან ნასესხებ ამ დახვეწილი ნაციონალიზმის იდეებს ქადაგებდნენ რუსეთში სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები და ჯგუფები — ესერები, მენშევიკები, ბუნდელები, ლიკვიდატორები, ტროცკისტები.

„ამ მძიმე მომენტში, — წერდა ამხანაგი სტალინი 1913 წელს, — სოციალ-დემოკრატიას ეკისრებოდა მაღალი მისია — წინააღმდეგობა გაეწია ნაციონალიზმისათვის, დაეცვა მასები საერთო „სნებისაგან". ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას შეეძლო ეს იმით, რომ ნაციონალიზმს დაუპირისპირებდა ინტერნაციონალიზმის ნაცად იარაღს, კლასობრივი ბრძოლის ერთიანობასა და განუყოფლობას" (თხზ., ტ. 2, გვ. 313-314).

ასეთ ვითარებაში პირველი მსოფლიო ომის წინ ლენინი და სტალინი დიადი თანამეგობრობით აჩაღებდნენ ბრძოლას ნაციონალიზმის წინააღმდეგ, „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" ნაციონალისტური ლოზუნგის წინააღმდეგ, უფრო ძლიერ ერთვნებათა მიერ სუსტ ერთვნებათა ჩაგვრისა და ნაციონალური სიძულვილის გაღვივების წინააღმდეგ. ნაციონალურ შუღლს, ერთი ერის მეორისაგან ხელოვნურად გამიჯვნას, პროლეტარიატის ერთვნებათა მიხედვით დაქსაქსვის ცდებს ლენინმა და სტალინმა დაუპირდაპირეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში ყველა ერის მუშათა გაერთიანება, ლოზუნგი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე და შეაიარაღეს ბოლშევიკები თანმიმდევრული მარქსისტული პროგრამით ნაციონალურ საკითხში.

მენშევიკები, როგორც ცნობილია, ნაციონალურ საკითხშიც სავსებით ვაკოტრებული აღმოჩნდნენ. მხოლოდ ბოლშევიკებს აღმოაჩნდათ ნაციონალურ საკითხში მარქსისტული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამხანაგ სტალინის სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" და ლენინის სტატიებში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ" და „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე".

ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელსაც ლენინი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა, 1913 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ერის მარქსისტული თეორია, ჩამოაყალიბა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისადმი ბოლშევიკური მიდგომის საფუძვლები (მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ნაციონალური საკითხი განხილულ იქნას როგორც რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი და იმპერიალიზმის ეპოქის მთელ საერთაშორისო ვითარებასთან განუყრელ კავშირში), დაასაბუთა მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირების ბოლშევიკური პრინციპი. ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომი წარმოადგენდა ბოლშევიზმის თეორიასა და საპროგრამო დეკლარაციას ნაციონალურ საკითხში.

1913 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ლენინის კლასიკური ნაშრომი—„კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე". ეს საპროგრამო ნაშრომი შეიცავს ლენინის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ დებულებას ნაციონალურ საკითხში ორი ძირითადი მიმართულების შესახებ: „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი—აი ორი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომლებიც შეესაბამება მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავს **ორ** პოლიტიკას (უფრო მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში" (გვ. 10). ამ ორ მიმართულებას შორის ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება ამჟამადაც. იმპერიალისტური ჩაგვრისა და ნაციონალური და რასობრივი შეუწყნარებლობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები აწარმოებენ თანმიმდევრულ ბრძოლას, ბრძოლას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ მუშათა კლასის დარაზმვისათვის.

ამავე სტატიაში ლენინი ღრმად ამუქებს რსდმპ რიგებში ნაციონალურ საკითხზე პროგრამული მერყეობის სათავეს, გამანადგურებლად აკრიტიკებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეას, ამხილებს მას როგორც რეაქციულს, მავნეს, მეშჩანურსა და ნაციონალისტურს, ააშკარავებს „ნაციონალური კულტურის" ლოზუნგის ბურჟუაზიულ ხასიათს. ამასთან დაკავშირებით ლენინმა ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანესი თეზისი კაპიტალიზმის პირობებში ყოველი ერის ორი კულტურის შესახებ.

„**ყოველ** ნაციონალურ კულტურაში,— წერდა ლენინი,—არის, თუნდაც განუვითარებელი, **ელემენტები** დემოკრატიული და სოციალისტური კულტურისა, ვინაიდან **ყოველ** ერში არის მშრომელი და ექსპლუატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობებიც გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ **ყოველ** ერში არის ბურჟუაზიული კულტურაც (უმრავლესობაში კი შავრაზმული და კლერიკალურიც) — თანაც არა მარტო „ელემენტების" სახით, არამედ **გაბატონებული** კულტურის სახით" (გვ. 8.).

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად იზრდება და მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა კულტურა—შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური.

სტატიაში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ", რომელიც 1914 წელს გამოქვეყნდა, ლენინი იბრძვის რა ოპორტუნისტების, ლიკვიდატორების, ბუნდელებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, იცავს და იმუშავებს პარტიის ძირითად ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ლენინი აქ ააშკარავებს ამ ლოზუნგისადმი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის მტრობის კლასობრივ აზრს და ცხადყოფს, რომ ლიკვიდატორები, ბუნდელები და სხვა ოპორტუნისტები ნამდვილად მხოლოდ კუდში მისჩანჩალებდნენ ნაციონალ-ლიბერალიზმს. ამ ნაშრომში, რომელსაც უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ლენინმა გააკრიტიკა როზა ლუქსემბურგის ნაციონალური ნიჰილიზმი — ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ პარტიის ლოზუნგის უარყოფა. ლენინმა ღრმად დაასაბუთა ყველა ერთვნების პროლეტართა მთავარი პრაქტიკული ამოცანა, ყოველგვარ ნაციონალურ პრივილეგიათა და შეზღუდვათა წინააღმდეგ აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანა, ყველა ერის თვითგამორკვევის თანაბარი უფლებისათვის, თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანა.

იცავდნენ რა ყველა ერის თანასწორუფლებიანობასა და სუვერენობას თავიანთი ცხოვრების მოწყობის საქმეში, ლენინი და სტალინი მუდამ აღნიშნავდნენ, რომ ყველა ხალხის მტკიცე გაერთიანება შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ ძმური თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საფუძვლებზე, რომ ასეთი გაერთიანების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მემამულეთა და კაპიტალისტთა, როგორც ერთა შორის შუღლის ძირითად ორგანიზატორთა, ძალაუფლების დამხობის შედეგად. ლენინიზმი ასწავლის მუშათა კლასს და ყველა მშრომელთ, რომ ნაციონალური საკითხის სრული გადაჭრა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გზით, პროლეტარიატისა, რომელსაც გლეხობა მიჰყვება, მხოლოდ ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გზით. ლენინმა და სტალინმა დაასაბუთეს განუხრელი კავშირი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა ჩაგრული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ნაციონალურ საკითხზე ლენინისა და სტალინის შრომებში განვითარებული იდეები, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო მთელ იმ ბრძოლას, რომელსაც ეწეოდა ჩვენი პარტია ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრისათვის როგორც ოქტომბრამდე, ისე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ეს იდეები საფუძვლად დაედო მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას.

ლენინისა და სტალინის შრომები ნაციონალურ საკითხში წარმოადგენენ ყველა ქვეყნის კომუნისტების მძლავრ იარაღს ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რასისტული თეორიების ყოველგვარ მქადაგებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს შრომები წარმოადგენენ ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღს.

III

მე-20 ტომში მოთავსებულ მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში ლენინი ამხილებს მარქსიზმის დაუძინებელ მტრებს, როგორიც არიან, მაგალითად, ტუგან-ბარანოვსკი, სტრუვე და სხვ. ლენინმა გამანადგურებლად გააკრიტიკა „ნაშრომი" ბურჟუაზიული მეცნიერების ერთ-ერთი წარმომადგენლის—პ. სტრუვესი, რომელმაც მიზნად დაისახა მარქსის ღირებულების კანონის დისკრედიტაცია, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის „კრიტიკულად გადასინჯვა" და ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების დაცვა.

ლენინი ამხილებს სტრუვეს უმეცრებაში, იმაში, რომ მას არ შეეძლო რაიმეს მოცემა „ცარიელი ციტატების და ნაჩქარევი შენიშვნების აჯაფსანდალისა", და ცხადყოფს მის შიშს ნამდვილი მეცნიერების წინაშე. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზია ისე შეშინებულია, „ისე შეშფოთებულია თანამედროვე სამეურნეო ევოლუციის „კანონებით", მეტად თვალსაჩინო, მეტად დამაჯერებელი კანონებით, რომ ბურჟუები და მათი იდეოლოგები მზად არიან გადაყარონ ყველა კლასიკოსი და ყოველნაირი კანონი, ოღონდ იურისპრუდენციის არქივში ჩააბარონ... ყოველნაირი ... რა ჰქვიან?... სოციალური უთანასწორობანი" (გვ. 179-180).

ამხილებს რა კაპიტალისტური წყობილების ყველა ჯურის დამცველებს, ცხადყოფს რა მათს სიჩლუნგესა და მორალურ გაპარტახებას, ლენინი თხზულებათა მე-20 ტომში შესულ მთელ რიგ ნაწარმოებებში გვიჩვენებს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის ხერხებს და ბურჟუაზიული პრესის გამყიდველობას.

ტომში მოთავსებულია მთელი რიგი სტატიები აგრარულ საკითხზე. მათ შორის „გლეხობა და დაქირავებული შრომა", „ბატონყმური მეურნეობა სოფლად", „მიწის საკითხი რუსეთში". სტატიაში „საერობო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის" ლენინი აყენებს წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის სტატისტიკური მასალების დამუშავების ახალ მეთოდებს.

ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც შესულია თხზულებათა მე-20 ტომში, აიარაღებენ ყველა ქვეყნის კომუნისტებს მუშათა კლასის საქმისათვის, კაპიტალისტური მონობის, იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის დიადი გამოცდილებით. ლენინის ნაწარმოებები ასწავლიან მათ მუშათა კლასისადმი მტრულ იდეოლოგიასთან შეურიგებლობას, ასწავლიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისადმი ერთგულებას და განამტკიცებენ კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით მოქმედი მუშათა კლასის რწმენას თავისი საქმის გამარჯვებისადმი. ისინი აღაფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს მის ბრძოლაში ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის.

ნ. ფომინოვი

(„პრავდა", 23/XI 1948 წ.)

პრესის მიმოხილვა

## გაზეთი თანმიმდევრულად იბრძვის ზეგეგმითი დაგროვებისათვის

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში 1.681.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცა.

ტრესტის მეორე ძირითადმა შახტმა —ლენინის სახელობისამ — იმავე ხნის განმავლობაში 435.000 მანეთი გადახარჯა.

ორივე შახტის კოლექტივს დაახლოებით თანაბარ პირობებში უხდება მუშაობა, ორივეს ერთი ტრესტი ხელმძღვანელობს. მაშ რა მოხდა, რატომ ჩამორჩა ლენინის შახტის კოლექტივი, რატომ ვერ გვაძლევს ის მუშაობის ისეთსავე მაჩვენებლებს, როგორც სტალინის შახტში მომუშავენი?

გაზეთმა „ტყიბულის მაღაროელმა" საწარმოთა რენტაბელობისა და ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვებისათვის ბრძოლის დაწყებისავე ეს ორი მაგალითი აიღო, ამაზე გაამახვილა მუშათა ყურადღება, გააცნო მათ მოწინავეთა გამოცდილება და ჩამორჩენის მიზეზთა ანალიზით უჩვენა მეშახტეებს, თუ როგორ გარდაქმნან მუშაობა, როგორ გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები ახალ საწარმოო მიღწევათა მოსაპოვებლად.

„სტალინის სახელობის შახტში. — გვაუწყებს გაზეთი 11 სექტემბერს (№ 110). — შექმნილია სპეციალური ბრიგადები და საკონტროლო საგუშაგოები. კონტროლი ელექტროენერგიის, სამაგრი და სამშენებლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და სხვა მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის, — აი, რა ევალებათ მათ.

წინათ დურგლებს საშენი მასალა მიჰქონდათ აღურიცხავად, საჭიროების გაუთვალისწინებლად. მორჩენილი მასალა სამუშაო ადგილას რჩებოდა და იკარგებოდა. ეს შეამჩნია საკონტროლო საგუშაგომ, რომელსაც ვ. მარუაშვილი ხელმძღვანელობს და საქმე ისე მოაგვარა, რომ დურგლები პირველად მიდიან სამუშაო ადგილას, ათვალიერებენ გასარემონტებელ ობიექტს, ანგარიშობენ და შემდეგ იღებენ იმდენ საშენ მასალას, რამდენიც საჭიროა.

შახტში ფართოდ იყენებენ ხის ძველ მასალებს, რომლებიც გამონამუშევრებშია და იქ არავითარ დანიშნულებას არ ასრულებენ. ხე-ტყის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად 7 თვეში შახტმა მიიღო 758.018 მანეთი ეკონომია".

შემდეგ გაზეთი მოგვითხრობს, თუ როგორ იბრძვიან ამ შახტში ახალ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა დასანერგავად, როგორ მიაღწიეს 80.000 მანეთ ეკონომიას, როგორ ამცირებენ ტონა ქვანახშირის თვითღირებულებას, ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და ა. შ.

რამდენიმე დღის შემდეგ „ტყიბულის მაღაროელი" აწყობს რეიდს ლენინის სახელობის შახტში. რეიდის მონაწილენი 16 სექტემბრის ნომერში (№ 112) მოგვითხრობენ, თუ რა ნახეს მათ ამ შახტში და რა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ შახტის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მეშახტეები საათობით ცდებიან სამუშაოზე, არაა მოწესრიგებული ცვლათა კონვეიერული მუშაობის წესი, ქვანახშირის გამოზიდვის დაჩქარებას ყურადღება არ ექცევა, სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობისათვის ზრუნვა არ ჩანს და სხვ.

შემდეგ გაზეთი რჩევას აძლევს საშახტო პარტიულ, სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებს: დაინერგოს ცვლათა შორის კონვეიერული მუშაობის მეთოდი, გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობისათვის, გაუმჯობესდეს შახტიდან ქვანახშირის ტრანსპორტირება და ა. შ. გაზეთში მოთხრობილია, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს თვითეული ამ ღონისძიების განსახორციელებლად, როგორ უნდა გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, როგორ უნდა დანერგონ ცვლებს შორის კონვეიერული მუშაობის მეთოდი და სხვ.

ყოველ ნომერში უბრუნდება „ტყიბულის მაღაროელი" საწარმოთა რენტაბელობის, მომჭირნეობისათვის ბრძოლის, ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვების ზრდის საკითხებს და გვაცნობს იმ მიღწევებს, რომლებიც ამ მუშაობაში აქვთ შახტებს, ცალკე საექსპლოატაციო უბნებს, ბრიგადებს, მოწინავე მეშახტეებს, ქვანახშირის მრეწველობის დამხმარე საწარმოებს და სახელოსნოებს.

უკანასკნელ ხანებში „ტყიბულის მაღაროელმა" შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა. იგი მეშახტეთა საყვარელი გაზეთი გახდა, ამას ნათლად მოწმობს მის ფურცლებზე მეშახტე-ავტორთა სიმრავლე და კორესპონდენციათა მრავალფეროვნება.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს „ტყიბულის მაღაროელს" არ ჰქონდეს მუშაობის სუსტი მხარეები. ხშირად გაზეთი სჯერდება ამა თუ იმ სამუშაო უბანზე ნაკლოვანებათა აღნიშვნას, საკმაო სისასტიკით არ აკრიტიკებს ჩამორჩენილებს. გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენციები ენობრივად კარგად არ არის დამუშავებული. „ტყიბულის მაღაროელში" მკითხველი ხშირად წააწყდება ასეთ რამეს: „გვპასუხობს იგი", (უნდა იყოს: გვიპასუხებს, გვეუბნება იგი), „სოციალისტური შეჯიბრების მასიურობა", (..მასობრიობა), „რონოდიდან წვევანდელის სიმღერა მოისმა", (ვაგონიდან წვევამდელის...), „სპეციალური სუმკა", (სპეციალური ჩანთა) და მრავალი სხვა. მოყვანილი ამონაწერი აშკარად მოწმობს, რომ „ტყიბულის მაღაროელის" ენა ერთობ მოიკოჭლებს.

რედაქციამ უნდა იბრძოლოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## შაქარი გეგმის გადამეტებით

ქარელი, (სპეც. კორ.). აგარის შაქრის ქარხანა დღითიდღე აძლიერებს მუშაობას. ოქტომბერში გამოშვებულია 25.000 ფუთით იმაზე მეტი შაქარი, რაც 1943 წელს მთლიანად იქნა გამოშვებული. ნოემბერში მარტო პირველი 17 დღის განმავლობაში გამოშვებულია თითქმის იმდენივე, რამდენიც შარშან მთლიანად ოქტომბერში გამოუშვეს. ვადამდე შესრულებულია შაქრის დანიშნულებისამებრ გაგზავნის გეგმები.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე მიაღწიოს შაქრის გამოშვების იმ დონეს, რომელიც ახალი სტალინური ხუთწლედითაა გათვალისწინებული.

გეგმის გადამეტებით გადასამუშავებლად 20 ნოემბერს ქარხანამ დაიწყო შაქრის ჭარხლის მიღება სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან.

## უხეში საკვების დაგროვება და სილოსის ჩადება კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 ნოემბრის ცნობებით)

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით: უხეში საკვების დაგროვება | გეგმის შესრულება პროცენტობით: სილოსის ჩადება | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით: უხეში საკვების დაგროვება | გეგმის შესრულება პროცენტობით: სილოსის ჩადება |
|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 17,8 | 96,2 | ახალციხის | 90,9 | 98,7 |
| აჭარის ასსრ | 56,4 | 101,4 | ადიგენის | 73,5 | 38,0 |
| აბაშის | 77,3 | 104,0 | ასპინძის | 56,3 | 101,9 |
| ცხაკაის | 78,8 | 85,8 | ხაშურის | 94,8 | 91,7 |
| გეგეჭკორის | 69,1 | 100,0 | ქარელის | 00,0 | 101,7 |
| ზუგდიდის | 25,6 | 104,3 | გორის | 115,9 | 86,5 |
| ხობის | 62,5 | 40,0 | კასპის | 101,4 | 104,0 |
| წალენჯიხის | 59,9 | 100,0 | ბორჯომის | 74,5 | 100,3 |
| ჩხოროწყუს | 98,8 | 100,0 | წალკის | 67,5 | 99,2 |
| მახარაძის | 60,0 | 32,3 | დუშეთის | 56,5 | 100,0 |
| ლანჩხუთის | 61,2 | 100,0 | თეთრი წყაროს | 96,8 | 107,5 |
| ჩოხატაურის | 49,1 | 100,0 | თიანეთის | 53,3 | 93,7 |
| ფოთის | 87,9 | 100,0 | ყაზბეგის | 22,8 | 100,0 |
| ქუთაისის | 50,2 | 100,0 | გურჯაანის | 68,2 | 98,5 |
| წყალტუბოს | 37,8 | 100,0 | კაჭრეთის | 94,4 | 103,5 |
| სამტრედიის | 37,8 | 114,3 | სიღნაღის | 90,5 | 100,2 |
| წულუკიძის | 50,2 | 101,0 | წითელწყაროს | 100,0 | 100,0 |
| ვანის | 46,7 | 84,3 | თელავის | 77,6 | 104,8 |
| მაიაკოვსკის | 86,6 | 110,0 | ახმეტის | 81,4 | 101,2 |
| ზესტაფონის | 47,3 | 100,8 | ყვარლის | 71,8 | 101,0 |
| ჩხარის | 33,5 | 79,5 | ლაგოდეხის | 68,9 | 100,8 |
| ჭიათურის | 46,6 | 94,2 | თბილისის | 03,5 | 100,3 |
| საჩხერის | 62,8 | 106,0 | მცხეთის | 29,7 | 87,0 |
| ორჯონიკიძის | 53,7 | 110,9 | გარდაბნის | 71,6 | 85,0 |
| ტყიბულის | 28,8 | 100,0 | მარნეულის | 103,3 | 106,1 |
| ონის | 82,5 | 98,6 | ბოლნისის | 92,5 | 101,5 |
| ამბროლაურის | 63,5 | 100,0 | საგარეჯოს | 107,7 | 96,5 |
| ცაგერის | 48,8 | 100,8 | დმანისის | 103,0 | [illegible] |
| ქვემო-სვანეთის | 92,4 | 102,8 | | | |
| ქლუხორის | 111,4 | 100,0 | | | |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი | 74,7 | 94,2 | | | |
| ახალქალაქის | 60,1 | 100,7 | | | |
| ბოგდანოვკის | 70,6 | 100,4 | | | |

შენიშვნა: მცხეთის, ყვარლის თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ახალციხის რაიონსა და აჭარის ასს რესპუბლიკას უხეში საკვების დაგროვებაზე არ წარმოუდგენიათ ცნობები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

# ხილის დამზადებასა და გადმოზიდვას აჭიანურებენ

გორელმა კოლმეურნეებმა წელს თავი ისახელეს ხილის შესანიშნავი მოსავლის მიღებით. ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერის ნაცვლად, ხშირად 100 ცენტნერს, ზოგან კი 200-400 ცენტნერ ხილს იღებენ. ბევრგან სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების გეგმა ორმაგად, სამმაგად და მეტად არის შესრულებული. განსაკუთრებით კარგად მოისხა წელს ვაშლის ძვირფასმა ჯიშებმა: შამპანურმა რენეტმა, ზამთრის ოქროს პარმენმა, ლონდონის პეპინმა, ქართულმა სინაპმა, კეხურამ და სხვ.

სოფელ მერეთის კოლმეურნეობაში 64 ჰექტარი ბაღის ყოველ ჰექტარზე მოსავალი 160 ცენტნერს აღწევს, ხოლო სულ ხილის მოსავალი — 500 ტონას. სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენ შრომაში" 53 ჰექტარიდან 17 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის ყოველი ჰექტარის მოსავლიანობა 169 ცენტნერია. სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში", სადაც 21 ჰექტარი ბაღის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად არის შესრულებული, კოლმეურნე სიკო ციციაშვილმა მიჩენილ ერთ ჰექტარზე 400 ცენტნერი კეხურას ჯიშის ვაშლი მოიწია. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღეს ახალუბნის, ქვემო ტყვიავის, ბროწლეთის, ხელთუბნის, ქერეს და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც. სოფელ კარბის კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ" 30 ჰექტარი ბაღიდან სახელმწიფოს, გეგმით გათვალისწინებული 75 ტონის ნაცვლად, 200 ტონა ხილი ჩააბარა. სოფელ ფლავის კოლმეურნეობას 41 ტონის ნაცვლად ჩაბარებული აქვს 166 ტონა. მთლიანად რაიონში საქკონსერვტრესტის ხაზით სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 4.500 ტონამდე ხილი, ხოლო ცეკავშირის ხაზით, კოოპერაციული შესყიდვის წესით — 1.500 ტონამდე.

მაგრამ უნდა ითქვას, არსებული მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. პირიქით, რაიონში ხილის დამზადების მხრივ ჩამორჩენაა. უხვი მოსავლის საფუძველზე რაიონს ნაკისრი აქვს ვალდებულება სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 2.000 ტონა ხილი. აქედან ფაქტიურად ჩაუბარებელია 500 ტონამდე, ცეკავშირის ხაზით კი გეგმა, რომელიც 4.000 ტონის შესყიდვას ითვალისწინებს, სანახევროდაც არ არის შესრულებული (დასამზადებელია 2.500 ტონამდე).

ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ხილის დამზადებას რაიონში ბევრგან მოუმზადებელი შეხვდნენ, ამ საქმეს თავიდანვე არ მიექცა სათანადო ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ხილი თითქმის ყველა სოფელში ბევრია და ხშირად ზიანდება, დამამზადებელი ორგანიზაციები ნაკლებად ფიქრობენ მუშაობის გაძლიერებაზე. ის ხილიც კი, რაც მიღებული და დამზადებულია, დანიშნულებისამებრ დროზე და მთლიანად არ იგზავნება. მაგალითად, რაიონიდან სამრეწველო ცენტრებში ხილის გადაგზავნა გეგმით კონსერვტრესტის ხაზით ნოემბრის შუა რიცხვებისათვის უნდა დამთავრებულიყო, ფაქტიურად ეს სამუშაო მხოლოდ სანახევროდ შესრულდა. წინათ ვაგონების მიწოდების სიმცირე აბრკოლებდა საქმეს, ახლა კი მათი აუთვისებლობა. აქ ყოველ დღე უნდა იტვირთებოდეს 18 ვაგონამდე, ფაქტიურად 5-6 ვაგონი იტვირთება.

ამის მიზეზია ტარის დროზე მოუმარაგებლობა, ყუთებში ხილის ჩაუწყობლობა და ტრანსპორტის სიმცირე, რაც აფერხებს სოფლებიდან ხილის ჩამოტანას. კონსერვტრესტის ხაზით მიღებული ხილის გადმოსაზიდად ყოველდღიურად საჭიროა 40 ავტომანქანა, ფაქტიურად ამის სამი მეოთხედიც არ მუშაობს. მიღებული ხილი ყინვის გამო ზიანდება. მაგალითად, მარტო კარალეთისა და მერეთის პუნქტებიდან დაუყოვნებლივ გადმოზიდვას მოითხოვს 150-150 ტონა ხილი, მეჯვრისხევის პუნქტიდან — 160 ტონა, ფლავის — 120, კარბის — 100, ვარიანის —80, ქვეშისა და ტირძნისის პუნქტებიდან — 60-60 ტონა, სულ გადმოსაზიდია 1.500 ტონაზე მეტი. ამას ისიც ემატება, რომ პუნქტებში ხილის დახარისხებაზე, ჩაწყობაზე და სხვ. ყოველდღიურად საჭიროა 1.400-მდე მუშა, ფაქტიურად მხოლოდ 750 მუშაობს. ამის გამო თითქმის ვერც ერთი პუნქტი დამზადების გეგმას ვერ ასრულებს. მაგალითად, ფლავის პუნქტზე (გამგე რ. დაფქვიაშვილი) ხილის გადამუშავების დღიური დავალება მხოლოდ 50-70 პროცენტით სრულდება. ასეთივე მდგომარეობაა ქვეშის და სხვა პუნქტებში.

პუნქტებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ხილისათვის დაწესებული სტანდარტის დაცვას. ზოგიერთი კოლმეურნეობიდან ხშირად დაბალხარისხოვან ხილს იღებენ, რაც გეგმის შესრულებად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, კარალეთის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე ნ. ვაზაგაშვილი) მიღებულია 20 ტონა უკონდიციო ხილი, დიდი გარეჯვრიდან (თავმჯდომარე თ. ჩუხრუკიძე) — 9 ტონა, პატარა გარეჯვრიდან (თავმჯდომარე ვ. გორგიშვილი) — 17 ტონა, ქვეშიდან (თავმჯდომარე ნ. ხუბულაშვილი) — 19 ტონა, სულ საქკონსერვტრესტის ხაზით რაიონში დამზადებულია 450 ტონა უკონდიციო ხილი.

ხილის დამზადების საქმეში არანორმალური მდგომარეობის ნათელსაყოფად მოვიყვანთ კიდევ ორიოდე ფაქტს. სოფელ მერეთის კოლმეურნეობა „წითელ მერეთში" კონსერვტრესტისა და ცეკავშირის ხაზით ტარის თავის დროზე მოუწოდებლობისა და შემდეგ გადაზიდვის მოუგვარებლობის გამო ხილის საერთო მოსავლის ერთი მეხუთედი უკვე განადგურებულია. აქ 100 ტონა ხილი იმდენად დაზიანდა, რომ ცნობილია უკონდიციოდ და უკვე აღარ იციან, როგორ გამოიყენონ. ასევე მოხდა ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენ შრომაშიც". აქ სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემდეგ 50 ტონა მოსავალი რაიკავშირს მიჰყიდეს, რაც 4 დღეში უნდა წაეღოთ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ამის შემდეგ 17 დღე ხილი მინდორში ხვავად ეყარა და 15 პროცენტზე მეტი განიავდა. შემდეგ აქედან ხილი როგორც იქნა 40 ყუთში ჩააწყეს, რაც ისევ მინდორშია მიტოვებული.

ვფიქრობთ, მოყვანილი ფაქტებიდან დასკვნის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ გადამწყვეტი ზომები ხილის დამზადებისა და გადაზიდვის დასაჩქარებლად, არ დავუშვათ მოსავლის შემდგომი დაზიანება და გეგმების შესრულების გაჭიანურება.

**ტ. თოდრაძე**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

## საარჩევნო კანონის პოპულარიზაცია

თბილისის მოლოტოვის რაიონის მშრომელები შეუდგნენ მზადებას სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. წარმოებს საარჩევნო ოლქების საზღვრების დაზუსტება, დგება ამომრჩეველთა სიები. უახლოეს ხანში დაიწყება საარჩევნო პუნქტების მოწყობა. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები შეუდგნენ რაისაბჭოს აღმასკომის რწმუნებულთა შერჩევას საარჩევნო პუნქტებისათვის.

ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში პარტიის რაიკომის მიერ შერჩეული 955 აგიტატორი და პროპაგანდისტი დიდ მუშაობას ეწევა. მათგან 416 აგიტატორი მოსახლეობაში მუშაობს. ისინი ამომრჩეველთ მოუთხრობენ სახალხო სასამართლოების მომავალი არჩევნების შესახებ, განუმარტავენ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებას. წარმოება-დაწესებულებებში ეწყობა საუბრები საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ, ლექციები — სტალინური კონსტიტუციის, საბჭოთა სახელმწიფოში სასამართლოს როლის, ხალხთა მეგობრობის შესახებ და სხვ. არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მუშაობის გაშლის შესახებ პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმულნი არიან რაიონის აქტივისტები — მასწავლებლები, ექიმები და სხვ.

მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია უბნის მოსამართლეთა მოხსენებებმა. სახალხო სასამართლოს როლისა და პრაქტიკული საქმიანობის შესახებ ამომრჩეველთა შორის მოხსენებებით გამოვიდნენ I უბნის მოსამართლე ამხ. მაისურაძე და III უბნის მოსამართლე ამხ. მესხი.

## ლექციები ყოფილ საარჩევნო უბნებში

დედაქალაქის ლენინის რაიონში დაიწყო მზადება სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის.

1.300-მდე აგიტატორი საწარმოებში, დაწესებულებებსა და მოსახლეობაში შეუდგნენ ამომრჩეველთათვის საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების განმარტებას.

სტალინის, კიროვის, 26 კომისრის სახელობის ქარხნებში, ყოფილ საარჩევნო უბნებში ეწყობა ლექციები თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა", „საბჭოთა საარჩევნო სისტემა", „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება" და სხვ.

სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით რაიკომის პარტკაბინეტში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

უახლოეს დღეებში მუშაობას დაიწყებენ აგიტპუნქტები.

## აგიტატორთა საუბრები

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, მიიღეს თუ არა გაზეთ „კომუნისტის" ის ნომერი, რომელშიაც სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება იყო დაბეჭდილი, 23 აგიტატორი საამქროებისა და ცვლების მიხედვით შეუდგა მუშა-მოსამსახურეთათვის მის გაცნობას.

ხალიჩების საამქროს მუშათა ერთ ჯგუფთან 30 კაცის შემადგენლობით საინტერესო საუბარი მოაწყო გამოცდილმა აგიტატორმა ჰ. ზაქარიაძემ, რომელსაც ამ ფაბრიკაში მუშაობის 20 წლის სტაჟი აქვს.

— სახალხო სასამართლოების მომავალი არჩევნები, — განაცხადა მან, — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა. არჩევნები მოხდება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უაღრესად ფართო პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეებს.

საარჩევნო დებულების გასაცნობად ასეთივე საუბრები მოაწყეს აგიტატორებმა ი. ქილარჯიანმა (საქსოვი საამქროს „ა" ცვლა), ვ. ხახიაშვილმა (სააპრეტურო საამქრო), ტ. გვარამაძემ (სართავ-სააპარატო საამქრო) და სხვ.

24 ნოემბერს ფაბრიკის აგიტკოლექტივში, რომელსაც პარტბიუროს მდივანი გ. ყურაშვილი ხელმძღვანელობს, სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შესახებ სპეციალური მეცადინეობა მოეწყო.

**გ. მეფისაშვილი**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# წარმატებით ჩავატაროთ სახალხო სასამართლოების არჩევნები

საქართველოს სს რესპუბლიკაში დაიწყო მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზებულად გაშლასა და საარჩევნო კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებაზე.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ორგანოების სისტემაში საბჭოთა სასამართლოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დიადი სტალინური კონსტიტუციის თანახმად ჩვენს ქვეყანაში სასამართლოები არჩევითია. „სახალხო სასამართლოებს ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით — სამი წლის ვადით" — ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციის 109-ე მუხლში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკვე დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა", რაც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში. დებულებით გათვალისწინებულია ყველა ის აუცილებელი პირობა, რაც უზრუნველყოფს სახალხო სასამართლოების ნამდვილად დემოკრატიულ არჩევნებს.

ჩვენში სასამართლო ემსახურება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან და ახორციელებს მის ნებას, რაც გამოხატულია საბჭოთა კანონებში. სულ სხვაა ბურჟუაზიული სასამართლოები და მათი დანიშნულება. ისინი ბურჟუაზიის ბატონობის კლასობრივ იარაღს წარმოადგენენ და მშრომელთა ფართო მასების უფლებათა შელახვის საქმეს ემსახურებიან.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება საბჭოთა მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს სახალხო სასამართლოების არჩევნებში შეუზღუდავ მონაწილეობას, გარდა იმ პირებისა, რომელთაც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება და რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

საბჭოთა სასამართლო, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების დაცვასთან ერთად, მოწოდებულია სსრ კავშირის მოქალაქეები აღზარდოს სამშობლოსადმი, სოციალიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი ფრთხილად მოპყრობის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, სოციალისტური ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. სასამართლო წყობილების კანონში ჩაწერილი ეს კეთილშობილური პრინციპები საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა ქვეყნის ყველა შეგნებული მოქალაქისათვის. ისინი სასამართლო ორგანოებს ეხმარებიან ამ პრინციპების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების მომავალმა არჩევნებმა სერიოზული როლი უნდა შეასრულოს სოციალისტური მართლმსაჯულების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა ფართო მასების აღზრდის საქმეში. ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სახალხო სასამართლოების მუშაობა, გამოვასწოროთ ის ნაკლოვანებანი, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთი სახალხო სასამართლოს მუშაობაში.

საბჭოთა სახალხო სასამართლოს წინაშე ახლა განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას. საბჭოთა მართლმსაჯულების შემდგომი განმტკიცება, კერძომესაკუთრულ განწყობილებათა ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერება და სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის დაუღალავი ბრძოლა, — აი რა ამოცანები დგას ჩვენი სასამართლოს წინაშე.

სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით განსაკუთრებული პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, რომელთაც საარჩევნო კანონი დიდ მოვალეობას აკისრებს. საარჩევნო კანონის მუხლობრივად შესწავლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ ეტაპზე როგორც ამომრჩევლებისათვის, ისე, პირველ რიგში, საბჭოთა, პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივისათვის, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობით მოუხდებათ საარჩევნო კამპანიისადმი ხელმძღვანელობა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ამომრჩეველთა სიების შედგენას. ამ მხრივ მათი ამოცანა ის არის, რომ სიებში შეუტანელი არ დარჩეთ არც ერთი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც მათს ტერიტორიაზე ცხოვრობს. არჩევნებამდე 20 დღით ადრე ამომრჩეველთა სიები გამოკრული უნდა იქნას ყველას გასაცნობად საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია საარჩევნო კანონით.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში სახალხო მოსამართლეთა პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობისადმი კიდევ უფრო მეტად იზრდება. სახალხო მოსამართლენი ვალდებულნი არიან მშრომელთა კრებებზე გააკეთონ მოხსენებანი, მოსახლეობას მოუთხრონ, რა ამოცანები და როლი ეკისრება სასამართლოს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, გააცნონ მასებს საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული იდეები და სახალხო სასამართლოს პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხები. ამ კრებებმა უფრო მეტად უნდა განამტკიცონ სახალხო სასამართლოების კავშირი მოსახლეობის ფართო მასებთან.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით გაჩაღებულ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში საჭიროა აქტიური მონაწილეობა მიიღონ იუსტიციის ორგანოების მუშაკებმა. მათ, საარჩევნო კანონის მუხლობრივად გარჩევასთან ერთად, მასებს უნდა განუმარტონ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუცია, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, საბჭოთა სასამართლოს წყობილების დემოკრატიული პრინციპები და საქმიანობა, საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითი როლი, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობა, სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში და სხვ.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აგიტატორების საშუალებით ეცნობიან და სწავლობენ არჩევნების დებულებას. ამოცანა ის არის, რომ ეს მუშაობა დღითი დღე გავაძლიეროთ, ამთავითვე მივიღოთ ზომები, რათა უზრუნველვყოთ ყველა ამომრჩევლის მონაწილეობა არჩევნებში და სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად წამოვაყენოთ რაიონის მოწინავე, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, ხალხის ნდობით აღჭურვილი ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ განუხრელად განახორციელონ საბჭოთა მართლმსაჯულება.

**მ. იოსელიანი,**

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

## ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები თავს ახვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პალესტინაში ამერიკისა და ინგლისის მონოპოლისტური კაპიტალის გავლენის განმტკიცებისაკენ მიმართულ წინადადებებს

**პარიზი,** 22 ნოემბერი. (ტასის სპეც. კორ.). პოლიტიკურ კომიტეტში პალესტინის საკითხის განხილვა, რაც უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება, უხალისოდ მიმდინარეობს. მთელ რიგ შემთხვევებში სხდომები ვადაზე ადრე იხურებოდა, რადგან ორატორები არ იყო.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები აშკარად ძნელ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან ცდილობენ თავს მოახვიონ პოლიტიკურ კომიტეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის ბერნადოტის წინადადებანი, რაც წარმოადგენს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის იმ გადაწყვეტილების რევიზიას, რომელიც ეხება პალესტინაში არაბთა და ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას.

სწორედ ამის შესაბამისად იყო აგებული სიტყვები ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და სხვ. დელეგატებისა, რომლებიც ბერნადოტის წინადადებებს იცავდნენ. ეს სიტყვები იწყებოდა ფარისევლური სინანულის გამოთქმით იმის გამო, რომ პალესტინაში ბრძოლამ ესოდენ მწვავე ხასიათი მიიღო და არაბ და ებრაელ ხალხებს მძიმე გაჭირვება მიაყენა, და მთავრდებოდა თანხმობის გამოცხადებით ბერნადოტის წინადადებებზე, რომლებიც მხოლოდ კიდევ უფრო გაამწვავებენ პალესტინის კონფლიქტს.

ამ წინადადებათა ნამდვილი მიზნები და პალესტინის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკის ნამდვილი იმპერიალისტური არსი გამოაშკარავებულ იქნა დღევანდელ დილის სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის გამოსვლაში.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოაგონა სხდომას, რომ გენერალურმა ასამბლეამ 1947 წლის 29 ნოემბერს ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება პალესტინისადმი ბრიტანეთის მანდატის შეწყვეტისა და იქ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოების — შექმნის შესახებ, რაც საკითხის ერთადერთი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა იყო. მაგრამ ინგლის-ამერიკის უმრავლესობა უშიშროების საბჭოში, რომელსაც დავალებული ჰქონდა მიეღო ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ზომები, მისი რევიზიის გზას დაადგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მიაღწიეს იმას, რომ აპრილში მოწვეულ იქნა გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია მისი 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით. ამ სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, ნაცვლად პალესტინაში არაბთა და ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა, როგორც ეს გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის ხსენებული გადაწყვეტილებით, წარადგინა პალესტინისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის დაწესების გეგმა. მაგრამ ასამბლეის უმრავლესობა პალესტინის შესახებ წინა გადაწყვეტილების რევიზიის ამ გეგმას არ დაეთანხმა.

მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ახალ მანევრს მიმართეს და მიაღწიეს პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური შუამავლის დანიშვნას. როგორც ცნობილია, გენერალურმა ასამბლეამ მისი საქმიანობის წრე წმინდა საშუამავლო ფუნქციებით განსაზღვრა. მაგრამ შუამავალმა აშკარად გადააჭარბა თავის რწმუნებებს და შეუდგა პალესტინის მომავალი მოწყობის ახალი გეგმის შემუშავებას, ნაცვლად მისი გაყოფისა, რაც გათვალისწინებულია 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით.

ცარაპკინი გადავიდა შუამავლის წინადადებათა დახასიათებაზე, რომლებსაც ამჟამად გენერალური ასამბლეა იხილავს, და აღნიშნა, რომ ეს წინადადებანი ძირითადად წარმოადგენენ შუამავლის იმ წინანდელ წინადადებათა განმეორებას, რომლებიც უარყვეს როგორც არაბებმა, ისე ებრაელებმა. ახლანდელ წინადადებათა ფორმალური განსხვავება წინანდელ წინადადებათაგან მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად წამოყენებული არ არის წინადადება რაღაც გაერთიანებული სახელმწიფოს, ტრანსიორდანიისა და პალესტინის, შექმნის შესახებ, არამედ აღიარებულია ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა. მაგრამ შუამავლის გეგმა ითვალისწინებს ამ სახელმწიფოს საზღვრების ისე გადაკეთებას, რომ ეს საფრთხეს უქმნის მის საარსებო ინტერესებს. ნეგევის ოლქი, რომელიც, 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის თანახმად, თითქმის მთლიანად ისრაელის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის, შუამავლის გეგმის მიხედვით არაბების ხელში უნდა გადავიდეს, რის სანაცვლოდაც ისრაელის სახელმწიფოს ეძლევა დასავლეთ გალილეის პაწაწკინტელა ტერიტორია. ამავე დროს პალესტინის მთელი არაბული ტერიტორია ნეგევის ოლქიანად შუამავლის წინადადების მიხედვით ტრანსიორდანიას უნდა გადაეცეს.

ასეთი გეგმა, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, აშკარად ნავარაუდევია არა მარტო იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააღვივოს პალესტინაში ებრაელებსა და არაბებს შორის მტრობა, არამედ იმისთვისაც, რომ უთანხმოება გამოიწვიოს თვით არაბთა სახელმწიფოებს შორის.

შუამავლის წინადადებათა ანალიზი, განაცხადა ცარაპკინმა, მოწმობს, რომ მათი ნამდვილი დანიშნულებაა გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების რევიზია ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საჭირო მიმართულებით და ისეთი პირობების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პალესტინაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გავლენის განმტკიცებასა და გაფართოებას მათ შორის იმპერიალისტური მორიგების საფუძველზე. შუამავლის უკანასკნელი წინადადებანი შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ახალ ცდად — თავს მოახვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბებისა და ამერიკის და ბრიტანეთის ნავთის მონოპოლიების ინტერესების შესაბამისი იქნებოდა და რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პალესტინის ხალხთა ნამდვილ ინტერესებს.

სსრ კავშირის დელეგაციას, განაცხადა ცარაპკინმა, მიაჩნია, რომ გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს. ეს შეესაბამება პალესტინაში ებრაელი ხალხისა და არაბი ხალხის ინტერესებს, ვინაიდან წყვეტს იმ ამოცანას, რომ ამ ხალხებმა განახორციელონ ნაციონალური თვითგამორკვევის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის უფლება. საბჭოთა კავშირს თავიდანვე უჭირავს პრინციპული პოზიცია, რომელიც შეესაბამება პალესტინის ხალხთა ინტერესებს, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებს და ზუსტად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს.

ამ პოზიციაზე დაყრდნობით, საბჭოთა კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ პალესტინაში მშვიდობის დამყარების მიზნით საჭიროა, რათა პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს და არაბთა სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომელთა შექმნაც გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან მთელი იქ მყოფი უცხოეთის ჯარები და უცხოეთის სამხედრო პერსონალი და უშიშროების საბჭომ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ არ დაუშვას პალესტინაში საომარი მოქმედების განახლება. შუამავლის წინადადებანი პალესტინაში დემილიტარიზებული ზონების დაწესების შესახებ არ სპობენ საომარი მოქმედების განახლების შესაძლებლობას.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებას ებრაელთა და არაბთა სახელმწიფოებს შორის ოფიციალური ზავის დადების შესახებ, რაც, პალესტინიდან უცხოეთის ჯარებისა და უცხოეთის სამხედრო პერსონალის გაყვანასთან ერთად, პალესტინის პრობლემის მოწესრიგების საქმეში წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა არაბთა უმაღლესი კომიტეტის წარმომადგენელი, რომელმაც მეტისმეტად გაჭიანურებულ სიტყვაში გაიმეორა არაბთა სახელმწიფოების წარმომადგენელთა ჩვეულებრივი თავდასხმა ისრაელის სახელმწიფოზე. მან განაცხადა, რომ არაბთა სახელმწიფოები არასოდეს არ დაეთანხმებიან პალესტინის გაყოფისა და იქ ორი სახელმწიფოს — არაბთა და ებრაელთა სახელმწიფოების — შექმნის გეგმას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შუამავლის წინადადებანიც კი, რომლებიც მნიშვნელოვნად კვეცენ ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიას, მიუღებელია არაბთა სახელმწიფოებისათვის, და განაცხადა, რომ სავსებით უარს ამბობს პალესტინის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაზე.

ამით არაბთა კომიტეტის წარმომადგენელმა ცხადყო არაბთა იმ წრეების პოზიციის აგრესიული ხასიათი, რომლებიც მოქმედებენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა მითითებით, ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ პალესტინის კონფლიქტი თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის გამოიყენონ.

საღამოს სხდომა დაიხურა პოლონეთის დელეგატის სიტყვით. მან გააკეთა პალესტინის ამბების განვითარების მიმოხილვა და ცხადყო, რომ პალესტინის კონფლიქტისათვის პასუხისმგებლობა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს ეკისრებათ. პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა, თქვა მან, შეიძლება მიღწეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ხელს აიღებენ თავიანთ ფანდებსა და მანევრებზე, რომლებიც მიმართულია გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის გაუქმებისაკენ.

მხოლოდ ამ რეზოლუციის საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის დელეგატმა, შეიძლება მიღწეულ იქნას მშვიდობა პალესტინაში და არაბთა და ებრაელთა კანონიერი ინტერესების სამართლიანი დაკმაყოფილება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა პალესტინაში ორივე მხარეს შორის პირდაპირი მოლაპარაკება ხსენებული რეზოლუციიდან გამომდინარე სხვადასხვა კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.

# პალესტინის საკითხში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მაქინაციების მხილება

**პარიზი,** 24 ნოემბერი. (ტასის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტის დილისა და დღის სხდომებზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია პალესტინის საკითხის გამო. მთელმა რიგმა დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ცხადყვეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალ ბერნადოტის წინადადებანი, რომლებსაც მხარს უჭერენ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, ეწინააღმდეგება როგორც არაბი, ისე ებრაელი ხალხის ინტერესებს და ნაკარნახევია ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნავთის მსხვილი კომპანიებისა და სამხედრო წრეების მიერ.

უკრაინის დელეგატმა ა. გალაგანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ შუამავლის წინადადებანი, რომლებიც მისი მოხსენების პირველ ნაწილშია მოყვანილი, წარმოადგენს პალესტინის საკითხის გადაწყვეტის ახალ გეგმას. ეს გეგმა ძირეულად განსხვავდება იმ გეგმისაგან, რომელსაც შეიცავს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს პალესტინაში არაბთა და ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას და მათი საზღვრების ზუსტ დადგენას. ეს გადაწყვეტილება რეალურ საფუძველს ქმნის არაბი და ებრაელი ხალხების თანამშრომლობისათვის მათი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარების სასარგებლოდ. მაგრამ მისი შესრულება წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხრივ, რომლებიც პალესტინის საკითხის გადაწყვეტას ნავთის მსხვილი კომპანიებისა და სამხედრო წრეების ინტერესთა თვალსაზრისით უდგებიან.

უკრაინის დელეგატმა მიმოხილვა გაუკეთა ინგლისის მთავრობის მანევრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის საკითხის განხილვის დაწყებიდანვე, და ცხადყო, რომ ინგლისი თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა იმის მისწრაფებით, რომ პალესტინაზე მისი მანდატის გაუქმების შემდეგ შეენარჩუნებინა იქ თავისი ბატონობა თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მაინც.

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ასეთმა პოლიტიკამ პალესტი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

(დასასრული)

ნის საკითხში, განაგრძო უკრაინის დელეგატმა, გამოიწვია უაღრესად დაძაბული მდგომარეობა პალესტინაში. მის ტერიტორიაზე იმყოფებიან უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები. ისინი ემუქრებიან ებრაელთა სახელმწიფოს არსებობას, რომელიც შექმნილია გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად, და მნიშვნელოვნად აბრკოლებენ მის განვითარებას. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ნაკარნახევი შუამავლის წინადადებანი ითვალისწინებენ ისრაელის სახელმწიფოს მნიშვნელოვან ტერიტორიულ ცვლილებებს და პალესტინის მთელი არაბული ტერიტორიის გადაცემას ინგლისის მარიონეტისათვის — ტრანსიორდანიისათვის. ეს წინადადებანი სავსებით ეწინააღმდეგებიან პალესტინის საკითხზე გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებას.

დასასრულ უკრაინის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია სავსებით იზიარებს სსრ კავშირის დელეგაციის აზრს იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილება, მიმართული პალესტინაში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისაკენ, იქნებოდა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დაავალებდა ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც პალესტინის ტერიტორიაზე თავისი ჯარები და პერსონალი ჰყავთ, უმოკლეს ვადაში გამოიყვანონ ისინი იქიდან. გენერალური ასამბლეის ასეთი გადაწყვეტილება, თქვა მან, შესაძლებელს გახდიდა განხორციელებულიყო გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის ის დებულებანი, რომლებიც ჯერ კიდევ შესრულებული არ არის, და ამრიგად ხელს შეუწყობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებას.

მთელმა რიგმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს იმ აზრს, რომ პალესტინის საკითხის ეფექტიანი გადაწყვეტა შეიძლება გამონახულ იქნას მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გასული წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესრულების საფუძველზე. მაგალითად, ურუგვაის დელეგატმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ისრაელის სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ შეიძლება საეჭვოდ გავხადოთ და რომ მისი საზღვრები არ შეიძლება შეცვლილ იქნას მისი თანხმობის მიუღებლად. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დღემდე პალესტინაში შექმნილი არ არის არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც ეს ხსენებული რეზოლუციით იყო გათვალისწინებული.

ვენესუელის დელეგატმა გაიხსენა, რომ ვენესუელის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის წინა სესიაზე ხმა მისცა რეზოლუციას პალესტინის გაყოფის შესახებ, და განაცხადა, რომ ვენესუელა კვლავ იმავე პოზიციაზე დგას.

იმ ქვეყნების დელეგატთა გამოსვლების შინაარსი, რომლებიც მხარს უჭერენ არაბთა აგრესიული წრეების პოზიციას და თავისი პოლიტიკით ხელს უწყობენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს, წარმოადგენდა იმ მოსაზრებათა გამეორებას, რასაც ჩვეულებრივ არაბთა სახელმწიფოების წარმომადგენლები იყენებენ, როცა სურთ დაამტკიცონ, თითქოს გენერალური ასამბლეის შარშანდელი სესიის რეზოლუცია პალესტინის გაყოფის შესახებ განუხორციელებელი და უკანონოა. ასეთ ცდას წარმოადგენდა პაკისტანის დელეგატის ვრცელი სიტყვა. ასეთივე შინაარსისა იყო დანიის დელეგატის გამოსვლა, რომელმაც აზრი გამოთქვა შემარიგებელი კომისიის შექმნის სასარგებლოდ, მაგრამ ისე, რომ მის მუშაობას საფუძვლად დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალ ბერნადოტის წინადადებანი.

დღის სხდომაზე გამოსულმა ბელორუსიის დელეგატმა კ. კისელიოვმა დამაჯერებლად გააკრიტიკა შუამავლის წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ისრაელის სახელმწიფოს საზღვრების გადაკეთებას და მისი ტერიტორიის შემცირებას ტრანსიორდანიის სასარგებლოდ, და ცხადყო, რომ ეს წინადადებანი ნაკარნახევია ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ინტერესებით პალესტინაში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეაქციული წრეები, რომლებიც კონფლიქტს აჩაღებენ პალესტინაში, განაცხადა კისელიოვმა, გამალებითავრცელებენ არაბულ ქვეყნებში ვერსიას, თითქოს საბჭოთა კავშირს არ სურს დაიცვას არაბი ხალხების ნაციონალური ინტერესები. ცნობილია, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის იცავდა და იცავს არაბი ხალხების დამოუკიდებლობას. მაგრამ, სამწუხაროდ, არაბები ომობენ არა თავიანთი ნაციონალური ინტერესების დასაცავად და არა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, არამედ ისეთი უცხო სახელმწიფოების ნავთისა და სხვა ინტერესების დასაცავად, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი.

მხოლოდ გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების განხორციელება მოუღებდა ბოლოს სისხლის ღვრას პალესტინაში და შექმნიდა ახლო აღმოსავლეთში ნორმალურ მდგომარეობას, რაც მაქინაციების საშუალებას არ მისცემდა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ პალესტინაში კოლონიური წესები და დაამყარონ იქ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა. ბელორუსი ხალხი ყოველთვის გამოხატავდა თავის თანაგრძნობას ხალხების, მათ შორის ებრაელი და არაბი ხალხების, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, მაგრამ გადაჭრით გმობდა და გმობს ყოველგვარ აგრესიას.

კისელიოვმა აღნიშნა, რომ შუამავლის გეგმა ვერ წყვეტს და სამართლიანად ვერც გადაწყვეტს პალესტინის პრობლემას, და განაცხადა, რომ ბელორუსიის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია პალესტინის ტერიტორიიდან მთელი უცხო ჯარებისა და უცხოეთის სამხედრო პერსონალის დაუყოვნებლივ გაყვანა. უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს ზომები, რომ არ დაუშვას პალესტინაში საომარი მოქმედების განახლება. დიდი ბრიტანეთის დელეგაციის მიერ შემოტანილი პროექტი, რომელშიც დაწვრილებით არის მოყვანილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლის გეგმა, რომელიც რევიზიას უკეთებს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებას, უარყოფილ უნდა იქნას. ბელორუსიის სსრ დელეგაციას მიაჩნია, რომ პალესტინის გაყოფის შესახებ ასამბლეის რეზოლუციის მხოლოდ მტკიცე შესრულება იქნება პალესტინის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება, განაცხადა დასასრულ ბელორუსიის სსრ დელეგატმა, უნდა შესრულდეს, ვინაიდან საქმე ეხება მშვიდობის შენარჩუნებას ახლო აღმოსავლეთში და საერთაშორისო უშიშროებას.

იგივე აზრი გამოთქვა გვატემალის დელეგატმა, რომელიც უკანასკნელი გამოვიდა დღის სხდომაზე. გვატემალის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა შუამავლის წინადადებათა სრული მიუღებლობა, რომლებიც არღვევენ ისრაელის სახელმწიფოს კანონიერ საზღვრებს და ითვალისწინებენ ტრანსიორდანიის მიერ იმ ტერიტორიების ანექსიას, რომლებიც პალესტინაში არაბთა სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ.

გვატემალის დელეგატი შეეხო ინგლისის რეზოლუციის შესწორებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წამოაყენა, და განაცხადა, რომ ეს შესწორებები ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის გამოსვლას პოლიტიკურ კომიტეტში 20 ნოემბერს. ამ გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა მისი თანხმობის მიუღებლად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შემოტანილი შესწორებანი მთლიანად აბათილებენ ამ განცხადებას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წინადადება შემოიტანა, რომ ინგლისის რეზოლუციიდან ამოღებულ იქნას პუნქტი, რომელიც იწონებს შუამავლის წინადადებებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ებრაელთა სახელმწიფოს ტერიტორიის შემცირება. მაგრამ მეორე შესწორებით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მთლიანად აღადგინა ინგლისის რეზოლუცია, როცა წინადადება წამოაყენა, რომ შემრიგებელმა კომისიამ იხელმძღვანელოს შუამავლის წინადადებებით.

დასასრულ გვატემალის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს ავსტრალიის დელეგაციის მიერ შეტანილ პროექტს.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების შესახებ

**პარიზი,** 24 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გენერალური ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა დღეს კიდევ ორი სხდომა მოანდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვას.

ისევე, როგორც გუშინ, ინგლის-ამერიკის ბლოკის მომხრე დელეგატები მხარს უჭერდნენ ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის დელეგაციების მიერ შეტანილ რეზოლუციათა პროექტებს, რომლებითაც უშიშროების საბჭოს წინადადება ეძლევა გადასინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად იტალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ფინეთის, ავსტრიისა და პორტუგალიის მიღების საკითხი საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის თვალსაზრისით. კერძოდ, ასეთი პოზიცია დაიკავეს ბრაზილიის, ბოლივიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, დანიისა და პანამის წარმომადგენლებმა.

არგენტინის დელეგაციის წინადადებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხი გადაწყვიტოს უშიშროების საბჭოს აზრისათვის ანგარიშის გაუწევლად, დღეს, ისევე როგორც გუშინ, დამცველები არ გამოუჩნდა,—მაგრამ ზოგიერთი დელეგატი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევის ყველაზე აშკარა მომხრეებმა, დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს წინადადება „შესწავლილი" ყოფილიყო, რათა გამოინახოს „შესაფერისი ფორმულა", რომელიც შესაძლებელს გახდის გვერდი აუარონ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპს უშიშროების საბჭოში ახალ წევრთა მიღების საკითხის გადაწყვეტისას. ამგვარი განცხადებებით გამოვიდნენ ლიბანის, ერაყის, პარაგვაის დელეგატები.

უკრაინის დელეგატმა ტარასენკომ ცხადყო იმათი პოზიციის უნიადაგობა, ვინც ამტკიცებს, რომ უშიშროების საბჭოს წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვისას არ უნდა ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მოსაზრებებით. მათ სურდათ, დასძინა მან, საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ინგლის-ამერიკის უმრავლესობა უშიშროების საბჭოში არ ხელმძღვანელობს პოლიტიკური მოსაზრებებით, როცა ილაშქრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელი რიგი დემოკრატიული ქვეყნების მიღების წინააღმდეგ: მაგრამ პრაქტიკამ საწინააღმდეგო გვიჩვენა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს, განაგრძო უკრაინის დელეგატმა, არ მოსწონთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიური წყობილება, და მათ სურთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ქვეყნების მიღების საკითხის განხილვა გამოიყენონ მათზე ზეგავლენის მოსახდენად იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი შესცვალონ არსებული რეჟიმი. განა ეს პოლიტიკურ მოსაზრებათა გამოყენების დამაჯერებელი მაგალითი არ არის?

უკრაინის დელეგატმა საფუძვლიანად გააკრიტიკა არგენტინისა და ავსტრალიის დელეგაციების წინადადებანი და ცხადყო, რომ ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან წესდებას. მან განაცხადა, რომ უკრაინის დელეგაცია ხმას მისცემს ამ წინადადებათა წინააღმდეგ.

ბელორუსიის დელეგატი სკორობოგატი შეეხო საერთაშორისო სასამართლოს ეგრეთწოდებულ საკონსულტაციო დასკვნას და აღნიშნა, რომ ეს დასკვნა სრულიადაც არ ამართლებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა პოზიციას, რომლებმაც უშიშროების საბჭოში შეაფერხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელი რიგი იმ დემოკრატიული სახელმწიფოების მიღება, რომლებიც აკმაყოფილებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემსვლელთადმი წესდებით წაყენებულ ყველა მოთხოვნას. გაიხსენა რა ის პირობები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა კონმა გუშინწინ წაუყენა ალბანეთს, ბულგარეთს, უნგრეთს, რუმინეთსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ბელორუსიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ისინი ძალიან სცილდებიან საწესდებო მოთხოვნათა ფარგლებს და განპირობებული არიან შეერთებული შტატების ეგოისტური, საგარეო-პოლიტიკური მოსაზრებებით.

უკრაინისა და ბელორუსიის დელეგატებმა გაილაშქრეს ჩილისა და პარაგვაის დელეგატთა გამოხდომის წინააღმდეგ, რომლებმაც თავს ნება მისცეს საეჭვოდ გაეხადათ უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენიტეტი. კერძოდ, სკორობოგატიმ დამაჯერებლად მოაგონა, რომ ბელორუსია ეკუთვნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელთა რიცხვს და რომ მისი დამსახურება განისაზღვრება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბელორუსი ხალხის აქტიური მონაწილეობით და მის მიერ ამ ბრძოლაში გაღებული მსხვერპლით. მან დასძინა, რომ ჩილი და პარაგვაი ამ მხრივ ვერ შეედრებიან ბელორუსიის სს რესპუბლიკას.

საფრანგეთის დელეგატმა ორდონომ დამაჯერებლად მოაგონა, რომ საფრანგეთის დელეგაცია ჯერ კიდევ ასამბლეის წარსულ სესიაზე ეჭვს გამოთქვამდა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მივმართოთ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისათვის, ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხი პოლიტიკური საკითხია და არა იურიდიული. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასამბლეისათვის წარდგენილი „საკონსულტაციო დასკვნა" არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სავალდებულო გადაწყვეტილება, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებშიც ეს დასკვნა იქნა მიღებული. ორდონომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ მოსამართლეთა შორის, რომლებიც ამ დასკვნის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, არიან საერთაშორისო სამართლის უაღრესად ავტორიტეტული სპეციალისტები, რაც მათ დასკვნებს დასაბუთებულს ხდის. საფრანგეთის დელეგატი შეუერთდა ფრანგი მოსამართლის ბადევანის აზრს, რომელმაც უარი თქვა შეერთებოდა ასამბლეისათვის წარდგენილ ეგრეთწოდებულ საკონსულტაციო დასკვნებს.

ორდონომ განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაცია მხარს ვერ დაუჭერს ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბელგიის დელეგაციების მიერ შეტანილ რეზოლუციების პროექტებს, თუ მათ ავტორებს მიაჩნიათ, რომ გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნული „საკონსულტაციო დასკვნა" დასაბუთებულად უნდა ცნოს. მან თქვა, ეს დასკვნა უნდა „ჩაიდოს დოსიეში" და ამით დავკმაყოფილდეთ.

ამ სამართლიანი მსჯელობის შემდეგ საფრანგეთის დელეგატი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში ჩავარდა და არ დაეთანხმა იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღებისას განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დაისვას რამდენიმე სახელმწიფოს ერთდროულად მიღების საკითხი.

ვრცელი და არეულ-დარეულ სიტყვით გამოვიდა არგენტინის დელეგატი არსე. იგი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან ვერც ერთმა დელეგაციამ ვერ გადაწყვიტა აშკარად დაეჭირა მხარი რეზოლუციის მისი პროექტისათვის, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირეულ მსხვრევას. მაგრამ არსე განაგრძობდა ჯიუტობას და საჭიროდ ჩათვალა გაემეორებინა გაცვეთილი მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციები შეიძლება იყოს არა მარტო „დადებითი", არამედ, „უარყოფითიც", და რომ თუ უშიშროების საბჭო რეკომენდაციებს არ მისცემს ამა თუ იმ სახელმწიფოს, ასამბლეას თითქოს, მიუხედავად ამისა, უფლება აქვს მიიღოს ეს სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. არსეს სიტყვა სავსე იყო ვრცელი გადახვევებით, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა განსახილველ საკითხთან. როგორც ყოველთვის, არსემ, რომელსაც უყვარს პრანჭიობა სსრ კავშირისადმი თავისი მტრობით, ამჯერადაც ვერ შეძლო, რომ არ გაელაშქრებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოსულმა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ შეაჯამა ახალ წევრთა მიღების საკითხი, სამი დღის განხილვის შედეგები. ვიშინსკიმ პასუხი გასცა ცილისმწამებლებს, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი არგუმენტაციის სიღატაკე შეევსოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უხეში გალაშქრებით, და გადავიდა განსახილველი საკითხის არსზე. მან ცხადყო, რომ ეს საკითხი გართულდა და იაწვა იმის გამო, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკი გზას ულობავს სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიყვანოს მისთვის სასურველი კანდიდატები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ წესდების მოთხოვნებს. ამხილა რა თავისი ოპონენტები მრავალ დამახინჯებაში, ვიშინსკიმ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საერთაშორისო სასამართლოს ეგრეთწოდებული „საკონსულტაციო დასკვნა", რომლითაც ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლები ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი შერყეული პოზიცია ახალ წევრთა მიღების საკითხში, ნამდვილად გამოხატავს მხოლოდ მოსამართლეთა უმცირესობის აზრს, და მაშასადამე, არ შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში.

სუსტი ცდით — პასუხი გაეცათ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკისათვის — გამოვიდნენ ავსტრალიის და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატები. ისინი მეტად უხეშად შეეცადნენ განემარტათ საერთაშორისო სასამართლოს წევრთა აზრი მათთვის სასურველი მნიშვნელობით. მაგალითად, ავსტრალიის დელეგატი ჰოჯსონი მოსამართლეების ალვარესისა და აზევედოს განსაკუთრებული აზრების ცხადი შინაარსის საწინააღმდეგოდ შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს ისინი წესდების მეოთხე მუხლის პირობებს ამომწურავად თვლიან.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა კოენმა ამჯობინა ყურადღება არ მიექცია იმ ექვსი მოსამართლის აზრისათვის, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს „საკონსულტაციო დასკვნას", და ალვარესისა და აზევედოს განსაკუთრებული აზრებისათვის მან განაცხადა, რომ საერთაშორისო სასამართლომ წარმოადგინა თავისი დასკვნა და, რომ „ეს ფაქტი წყვეტს საკითხს".

# ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

**ვენა,** 24 ნოემბერი. (საკდესი). ავსტრიის პრეზიდენტმა კარლ რენერმა ამას წინათ ინტერვიუ მისცა მიუნხენში გამომავალი ამერიკული გაზეთის „ნოიე ცაიტუნგის" კორესპონდენტს. რენერმა კეთილმოსურნეობით მოიხსენია „დასავლეთ ევროპის კავშირი" და აღნიშნა, რომ ავსტრიას განზრახვა აქვს მომავალში შეუერთდეს ამ ბლოკს. რენერის ამ ინტერვიუსთან დაკავშირებით ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„ფედერალურმა პრეზიდენტმა რენერმა აშკარად აღიარა ამერიკულ გაზეთში, რომ ემხრობა დასავლეთის ბლოკს, და ამით მხარი დაუჭირა ევროპის გათიშვას, აგრეთვე ავსტრიის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას. ფედერალური პრეზიდენტის განცხადება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ავსტრიის სოციალისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის ერვინ შარფის განცხადებასთან იმის შესახებ, რომ სოციალისტური პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ავსტრიის ნეიტრალიტეტს. დოქტორმა რენერმა განცხადება გააკეთა, რათა ესიამოვნებინა იმ ძალებისათვის, რომლებსაც სურთ ავსტრია მთლიანად ჩაუგდონ ხელში ამერიკის იმპერიალიზმს და საბოტაჟი გაუწიონ სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას, რათა უსასრულოდ გააჭიანურონ ავსტრიის ოკუპაცია.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიურო აღნიშნავს, რომ ფედერალური პრეზიდენტის განცხადება მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხის ნათელ ნებას, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ავსტრიის შეერთებას იმპერიალისტურ სამხედრო ბლოკთან. კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ავსტრიელს, რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშვიდობა შეინარჩუნონ ჩვენს ქვეყანაში, ჩაშალონ დასავლეთის სამხედრო ბლოკთან ავსტრიის შეერთების განზრახვა".

# საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარედ გასტონ მონერვილი აირჩიეს

**პარიზი,** 25 ნოემბერი. (საკდესი). რესპუბლიკის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე მოხდა რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები.

კენჭისყრის შედეგად არჩეულია გასტონ მონერვილი („მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანება" — მემარჯვენე პარტია), რომელმაც 199 ხმა მიიღო 19 ხმის წინააღმდეგ, რაც მიიღო მარტელმა (კომუნისტი), და 14 ხმის წინააღმდეგ, რაც მიიღო გასემ (რადიკალი), 49 კაცმა კენჭისყრაში თავი შეიკავა.

# „სვობოდნე სლოვო" დასავლეთ გერმანიაში საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის აღდგენის შესახებ

**პრაღა,** 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „სვობოდნე სლოვოს" კორესპონდენტი მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, სარწმუნო წყაროებიდან გამოირკვა, რომ ამერიკელები და ინგლისელები დასავლეთ გერმანიაში საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის აღდგენას იწყებენ.

არც ისე დიდი ხანია, წერს კორესპონდენტი, რაც ერთმა წინდაუხედავმა ამერიკელმა სენატორმა წამოაყრანტალა ამერიკის შეერთებული შტატები, მთავრობის წრეების განზრახვა — მთელი მსოფლიო მოფინონ ჯაშუშური და ტერორისტული ორგანიზაციების ქსელით. ამერიკის მმართველი წრეების ამ გეგმით დასავლეთ გერმანიას მიკუთვნებული აქვ, იმის მსგავსი როლი, რაც უნდა შეასრულოს რურის მძიმე მრეწველობამ გერმანული იმპერიალიზმის აგრესიული ძალების აღდგენის გეგმებში. არსებობს ზუსტი ცნობები, რომ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნისათვის მზადებასთან ერთად ამერიკელები და ინგლისელები ამზადებენ აგრეთვე პოლიციის აპარატის შექმნას, რომელსაც ეწოდება „უშიშროების სამსახურის პოლიცია" და განკუთვნილია მომავალი დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოსათვის.

როგორც შემდეგ კორესპონდენტი ამტკიცებს, ამ პოლიციისათვის პირთა შერჩევა მოწმობს, რომ საქმე ეხება არა ჩვეულებრივი პოლიციური ორგანოების შექმნას, არამედ საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის სპეციალურ ორგანოებს. როგორც ცნობილია, ამერიკელები ამზადებენ აგრეთვე წესრიგის დაცვის პოლიციის მთავარი ცენტრის შექმნას დასავლეთ გერმანიაში.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა ეს საქმე მიანდეს ჰიტლერული უშიშროების სამსახურის მე-4 განყოფილების ყოფილ უფროსს მიულერს, რომლის ბედზეც ამერიკელებს 1945 წლიდან არავითარი ცნობა არ გამოუქვეყნებიათ.

ამჟამად, განაგრძობს კორესპონდენტი, ეჭვი აღარ არის, რომ ამ თავგამოდებულ ჰიტლერელს ამერიკელები საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის უფროსად დანიშნავენ. ამ საიდუმლო პოლიციის შემადგენლობაში ამერიკელები სპეციალურ ოპერატიულ განყოფილებას ქმნიან. ამ განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა გესტაპოს ყოფილი დიდი მოხელე ოტო სკორცენი. სკორცენი, როგორც ცნობილია, ამას წინათ მოულოდნელად გაქრა ბანაკიდან, სადაც იგი ჰყავდათ, და ასევე მოულოდნელად გამოჩნდა ამერიკაში.

კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის შესანახი ხარჯების ნახევარს დაფარავენ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. ხარჯების მეორე ნახევარს ამერიკელები და ინგლისელები კისრულობენ.

# სამხედრო გადატრიალება ვენესუელაში

**ნიუ-იორკი,** 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაკასიდან იუწყება, ვენესუელის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა მარკო პერეს ხიმენესმა რადიოთი განაცხადა, რომ არმია „საერთო კონტროლს" ახორციელებს მთელ ვენესუელაში. იგი ამტკიცებდა, რომ არმია „იძულებული" გახდა გადატრიალება მოეხდინა თითქოს გალიეგოსის მთავრობის „უუნარობის" გამო.

როგორც შემდეგ იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი კარაკასიდან გადმოგვცემს, ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციამ მთელ ვენესუელაში გაფიცვა გამოაცხადა იმ სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელმაც პრეზიდენტი გალიეგოსი დაამხო. გაფიცვამ მოშალა ნავთის კომპანიების მუშაობა სულიას შტატის ნავთის მრეწველობის მნიშვნელოვან რაიონში.

არსებული ცნობების მიხედვით, გალიეგოსი დატყვევებულია თავის რეზიდენციაში. სამხედრო პატრულებს კარაკასის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები უჭირავთ.

# თათბირი ელექტროენერგიის ეკონომიის საკითხზე

29 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დარბაზში (მეხუთე სართული) შედგება მინისტრების, ცენტრალური ორგანიზაციების, ტრესტებისა და წარმოების ხელმძღვანელთა და მრეწველობის მთავარ ენერგეტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი ელექტროენერგიის ეკონომიის საკითხზე.

# ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი

25 ნოემბერს შედგა ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირის მეორე ტური.

გიორგაძემ ესპანურ პარტიაში ბუსლაევთან დებიუტშივე ხელთ იგდო ინიციატივა და ენერგიული თამაშით დიდ უპირატესობას მიაღწია. ამის შემდეგ ბუსლაევი ამაოდ ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია. მე-20 სვლაზე მან დათმო პარტია.

ბლაგიძემ მაკაგონოვის წინააღმდეგ სუსტად გაითამაშა დებიუტი და უარესი პოზიცია მიიღო. მაგრამ შემდეგში იგი ზუსტად იცავდა თავს და არა მარტო უკუაგდო მოწინააღმდეგის იერიში, არამედ ერთგვარი უპირატესობაც კი მოიპოვა. მაკაგონოვმა, თავის მხრივ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და პარტია მალე ყაიმით დამთავრდა.

ოთხი პარტია გადაიდო. შიშოვს ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს დუზ-ხოტიმირსკისთან. ფირცხალავამ, რომელსაც ამირხანოვთან შუათამაშში მძიმე პოზიცია ჰქონდა, შეძლო საინტერესო კონტრშანსის შექმნა გადადებულ პოზიციაში მას უკეთესი მდგომარეობა აქვს. სოროკინს უპირატესობა აქვს გადადებულ პოზიციაში შახ-ტახტინსკისთან. საინტერესო ბრძოლის შემდეგ დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო ებრალიძე-სარქისიანის პარტია.

პეტროსიან-კასპარიანის პარტია არ შედგა.

დღეს შედგება შეჯიბრების მესამე ტური.

# პოეტ ლადო ასათიანის ხსოვნის საღამო

ორშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში გაიმართება პოეტ ლადო ასათიანის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს ა. გომიაშვილი. მოხსენებას — „ლადო ასათიანის შემოქმედება" წაიკითხავს შ. აფხაიძე. სიტყვებით გამოვლენ ა. გაწერელია და დ. შენგელაია.

პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ კ. ბობოხიძე, ა. კალანდაძე, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი.

ლ. ასათიანის ლექსებს წაიკითხავენ: ვ. ანჯაფარიძე, ნ. ვაჩნაძე, ს. ზაქარიაძე, გ. კობიაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. ჩხეიძე, ვ. ჯავახიშვილი.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**27 ნოემბერს, დილის 9 საათზე,** შედგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკების სემინარი თემაზე: ი. ბ. სტალინის თხზულებათა VII ტომი.

სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. **გორგილაძე.**

**27 ნოემბერს, საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე,** საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ჩატარდება ამხ. **ნოღაიდელის** ინდივიდუალური კონსულტაცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## თეატრებში

**ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — 27-XI **„ევგენი ონეგინი"** (7 ა. 4 წარმ., ტ. ტალახაძის მონაწილეობით), 28-XI **„გედის ტბა"** (დღისით), **„ჯამბაზები"** და საკონცერტო განყოფილება (3 აბ. 4 წარმ., ტ. ტალახაძის მონაწილეობით);

**რუსთაველის სახელობის** — 27-XI **„პირველი ნაბიჯი"** (2 სერ. 3 წარმ.), 28-XI **„პირველი ნაბიჯი"** (დღისით), **„მეგობრებამხანაგებზე"** (18 სერ. 3 წარმ.);

**მარჯანიშვილის სახელობის**—27-XI **„რკინის პერანგი"** (9 სერ. 3 წარმ.), 28-XI **„რკინის პერანგი"** (დღისით), **„ურიელ აკოსტა"** (3 სერ. 3 წარმ., საღამოს);

**გრიბოედოვის სახელობის** — 27-XI **„ტარტიუფი"** (12 აბ. 3 წარმ.), 28-XI **„ბელუგინის ქორწინება"** (დღისით), **„დიადი ძალა"** (9 აბ. 3 წარმ.);

**სომხური დრამატული** — 27-XI **„დალატი"** (აბ. გარეშე), 28-XI **„მარალიკ ჯეირანიკ"** (2 აბ., დღისით), **„ქოროღლი"** (საღამოს აბ. გარეშე);

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — 27-XI **„ნათელა"** (აბ. გარეშე), 28-XI **„არშინ მალ-ალან"** (დღისით), **„მზის დაბნელება"** (8 აბ. 3 წარმ., საღამოს);

**მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 27-XI **„ალმასის საბადოები"** (44 აბ. 6 ს.), 28-XI **„ალმასის საბადოები"** (48 აბ. 10 ს. 28 აბ. 2 ს.), **„ბაში-აჩუკი"** (59 აბ. 7 ს.);

**კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული** — 27-XI **„შემოდგომა ტბაზე"** (108 აბ. 10 ს., 92, 111 აბ. 2 ს.), **„შემოდგომა ტბაზე"** (98 და 109 აბ. 10 ს.), **„კრაზანა"** (105 აბ. 1 ს.), **„კრაზანა"** (136 აბ.).

მე-3 შესატანი ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.


შვილი ოლია, სიძე დავით, შვილიშვილები ნაზიკო და რეზო ჰედიები იუწყებიან **გიორგი ნიკოს-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კულაშში.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს კონკურს **ბიოქიმიის კათედრის გამგის** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია და მთავარი მეცნიერული ნაშრომები.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 1.

მეუღლე გალინა, შვილი რევაზ, ძმები ანტონ, მიხეილ, დები მარიამ, მარგალიტა, მაშო, ქეთევან ოჯახებით, სიდედრი ანა იუწყებიან, რომ 28-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **კონსტანტინე (ბიჭიკო) სილოვანის-ძე მუჯირის** პანაშვიდი.

ნ. გობეჩია, ნ. ბაღათურია, გ. ბუკია, ი. ედიგაროვი, კ. მიქაია, ი. მილორავა, ვ. მეგრელიშვილი, თ. ქარდავა, ბ. ქუჩულორია, ც. ჩხეტია და ლ. ჯანაშია იუწყებიან **ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხაბურზანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში.

სოფიო მამისაშვილი, ალექსანდრე და ნინო სეფაშვილები, მარო და ვახტანგ მაისურაძეები, ლენა და ვახტანგ გომელაურები იუწყებიან **მარიამ მახარობლის ასულ სულთანიშვილის** გარდაცვალებას.

გიორგი, დავით, ოთარ, ვალიკო, მაყვალა დავითაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მარო და არჩილ დავითაშვილებს მათი შვილის **ციალას** გარდაცვალების გამო. გამოსვენება 28-XI, 2 ს. მერკვილაძის, 35.

მშობლები ივანე, ნადია, ძმა ვახტანგ, და ანიკო, ბიძა ნიკოლოზ, შვილი ალიკო იუწყებიან, რომ 28-XI, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **შალვა ნიკოლოზის-ძე ნადირაშვილის** პანაშვიდი.

შვილები ავთანდილ, ეთერ, ძმა ვანო ჯაფარიძე შვილებით, გიორგი, ალექსანდრე, პეტრე, ვანო, შოთა გამყრელიძეები, ზინა იაშვილი იუწყებიან **ლუბა იასონის ასულ იაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-XI, 7 ს. გამოსვენება 28-XI, 2 ს. ხეთაგუროვის, 1.

შვილები სოლომონ იორდანიშვილი და ანასტასია შაქიაშვილისა ოჯახებით იუწყებიან **ივლიტა გიორგის ასულ იორდანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-XI, 7 ს. გამოსვენება 28-XI, 2 ს. ყაზბეგის, 25.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან ლევან კასრაშვილის ძმის **ირაკლის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XI სოფ. ცხრაწყაროში (ზესტაფონის რაიონი).

შვილი ვაგან მამასახლისოვი ოჯახით იუწყება, რომ 28-XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ივანე გიორგის-ძე მამასახლისოვის** პანაშვიდი.

შალვა, ლოლა, მანანა, ზაური, ზურაბ და იზა კობერიძეები იუწყებიან, რომ 28-XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ციალა და კობა კობერიძეების** პანაშვიდი.

მეუღლე სანდრო, შვილი გუგა ჩიტაიშვილები იუწყებიან, რომ 28-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარიამ ივანეს ასულ ჩიტაიშვილის** პანაშვიდი.

მშობლები ფედოსი და ალექსანდრე, ბებია ეფროსინე, ბაბუა მელიტონ, ძმები შაქრო, გივი, და სულიკო, იუწყებიან ვალიკო ალექსანდრეს-ძე პატარიძის გარდაცვალებას პანაშვიდი 27-XI, 6 ს. გამოსვენება 28-XI, 3 ს. ლამის, 29.

შვილები გრიშა, კოლია და მიშა შენგელიები, რძლები ლიზა და მარო შვილებით იუწყებიან **გიორგი ნიკოს-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კულაშში.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მოროგისა და გამომშვებების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3 77 70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14. ტირაჟი 110.000 უე 14955